ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 29 ივნისი, 2016 | №152 (7078) | ფასი: 50 თეთრი

## რატომ დააპატიმრეს ვანო მერაბიშვილის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი



გვ.3

29 ივნისიდან
მსოფლიო ისტორიის ატლასი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




# რატომ გამოყარა ივანიშვილმა რესპუბლიკელები კოალიციიდან



გვ.5

## მურმან დუმბაძე: „არჩილ ხაბაძემ გადადგომაზე განცხადება დაწერა“

## გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილმა ხიდაშელი უნდა მოხსნას, მაგრამ ამას ვერ აკეთებს“

გვ.4

„მარგველაშვილის როლი აუცილებლად გაიზრდება“



## გიორგი მარგველაშვილს ივანიშვილსა და სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აღმოაჩნდა

„ქართული ოცნება“ – 22,4%, ნაციონალური მოძრაობა – 21,7%



გვ.2

## მარგველაშვილი: „ვარშავის სამიტიდან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას წამოვიღებთ“

გვ. 3







თინა ხიდაშელი: „მე და სესიაშვილს ხედვების აბსოლუტური არათანხვედრა გვაქვს“

## სირიაში პანკისის მკვიდრი, 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი დაიღუპა

გვ. 6



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი მარგველაშვილი: „ვარშავის სამიტიდან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას წამოვიღებთ“

ნათია ხურცილავა

**იმ შენობაში, სადაც წინა ხელისუფლების დროს თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას რეზიდენცია იყო, გუშინ, 27 ივნისს, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა გაიხსნა.**

ცერემონიალზე, რომელსაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, დეპუტატები, ელჩები, გენერლები და ნატოს სარდლობის წარმომადგენლები, მათ შორის ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე ესწრებოდნენ, მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა.

– ვარშავის სამიტიდან ჩვენ წამოვალთ ისე, რომ მომავალში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სერიოზულად განმტკიცებას შევძლებთ, – განაცხადა ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, 2014 წლის უელსის სამიტიდან წამოღებულ პაკეტში სერიოზული შინაარსი იყო ჩადებული და 2 წლის განმავლობაში საქართველომ შეძლო, ამ შინაარსისთვის ხორცი შეესხა.

– ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ სტაბილურობას ნატოში ინტეგრაციით ვხედავთ და არაერთი მტკიცე ნაბიჯი გადაგვიდგამს ამ მიმართულებით. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის გახსნა არის ის წარმატება, რომელიც საქართველომ 2014 წლის უელსის სამიტიდან წამოიღო და ეს წარმატება არის საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების, ზოგჯერ სისხლის ფასად გაწეული სამსახურისა და ასევე პოლიტიკური ხელმძღვანელობის მრავალი წლის განმავლობაში ძალიან მტკიცე ნაბიჯებით განპირობებული, – განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა კი ხაზი გაუსვა, რომ სკოლის გახსნის იდეით ყველა არ იყო აღფრთოვანებული, მაგრამ ეს სკოლა მაინც გაიხსნა.

– იმედი მაქვს, სკოლა პირველ მსმენელებს უკვე სექტემბრიდან მიიღებს და ეს პროცესი იქნება ღია და გამჭვირვალე, – განაცხადა მინისტრმა.

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე თაკან ილდემმა თქვა, რომ საქართველო რეგიონის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომელსაც ნატო მხარს უჭერს თავის ევროატლანტიკურ მისწრაფებებში.

– დარწმუნებული ვარ, რომ ვარშავის სამიტი ნატოს ქვეყნების ლიდერებს საშუალებას მისცემს, შეაჯამონ მიღწევები და განსაზღვრონ, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ, – განაცხადა ბატონმა ილდემმა.

## თინა ხიდაშელი: „მე და სესიაშვილს ხედვების აბსოლუტური არათანხვედრა გვაქვს“




თავდაცვის მინისტრის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შეფასებები გუშინაც გრძელდებოდა.

თავად თინა ხიდაშელმა პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებებზე კომენტარი გააკეთა.

– მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ფუნდამენტურად და ფილოსოფიურად ეწინააღმდეგებიან გაწვევის გაუქმებას. მათ მიაჩნიათ და სესიაშვილი იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომ 7 ლარად 18 წლის ბიჭის ყარაულში დგომა არის ღირსეული საქციელი სახელმწიფოს მხრიდან. მე ასე არ ვთვლი და ეს ჩვენ შორის ფუნდამენტური სხვაობაა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, სესიაშვილს აქვს ფილოსოფიური პრობლემა.

– ჩვენ გვაქვს ხედვების აბსოლუტური არათანხვედრა. მას მიაჩნია, რომ მონური შრომა 21-ე საუკუნეში ნორმალურია. მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის ნორმალური. მას არ ესმის, როგორ შეიძლება, რომ 7 ლარად არ ამუშაო ახალგაზრდა კაცი ყარაულში, – აღნიშნა მინისტრმა.

ირაკლი სესიაშვილმა თინა ხიდაშელის ამ შეფასებებს გუშინვე უპასუხა.

მან თქვა, რომ საქართველოში მონური სამსახური კანონით დასჯადია და ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

– თუ საუბარია 7 ლარზე, პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მონური სამსახური კანონით აკრძალულია და ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. რაც შეეხება 7-ლარიან სამსახურს, ყველა ვხედავთ, რომ პრობლემაა, რადგან უწყებებში, სადაც არიან წვევამდელები, 70 ლარამდე აქვთ ხელფასი.

თუ წვევამდელს რაიმე პრობლემა აქვს და ადეკვატურად არ არის ჩართული სამხედრო საქმეში, ეს არის მიზეზი და არა ის, რომ სადაც რამე პრობლემას დავინახავთ, მოვიცილოთ, – განაცხადა ბატონმა სესიაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში.

ერთმანეთის მიმართ მწვავე განცხადებების მიუხედავად, ირაკლი სესიაშვილი და თინა ხიდაშელი თანამშრომლობას აგრძელებენ.

– ჩვენი სიყვარული 15 წელია, გრძელდება და მასში ეჭვი არავინ უნდა შეიტანოს, – დასძინა მინისტრმა ხიდაშელმა.

# თორნიკე შარაშენიძე: „რეგიონში რთულმა ვითარებამ შესაძლოა ნატოელი პარტნიორები კიდევ ერთხელ შეაშინოს“



პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონში შექმნილმა რთულმა ვითარებამ შესაძლოა ნატოელი პარტნიორები კიდევ ერთხელ შეაშინოს და ნატოს ხომალდების პატრულირება შავ ზღვაში ვერ მოხდეს.

ამის შესახებ შარაშენიძემ ჟურნალისტებს კონფერენციის „კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ცვლილებების“ ფარგლებში განუცხადა, რომელშიც ექსპერტები, პოლიტიკოსები, ევროკავშირისა და ნატოს ოფიციალური პირები კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებასა და გამოწვევებზე მსჯელობენ.

– ახლოვდება ვარშავის სამიტი, საიდანაც ჩვენ, რა თქმა უნდა, რაღაცას ველით. მაგრამ რეგიონში სიტუაცია ძალიან რთულია და არის საფუძვლიანი შიში, სამწუხაროდ, რომ ამან შეიძლება კიდევ ერთხელ შეაშინოს ჩვენი ნატოელი პარტნიორები. რადგან ჩვენ ახლა ველით კონკრეტული უსაფრთხოების მექანიზმის ამუშავებას – ეს არის პატრულირება ნატოს ხომალდების შავ ზღვაში. პრინციპში, ყველაფერი, ალბათ, მიდის აქეთკენ, რომ როგორი სიტუაციაა რეგიონში, მოხდება ის თუ არა, რასაც ჩვენ ველოდებით ნატოსგან? თუ არა, რა უშლის ხელს? როგორც ყოველთვის, ჩვენ ვიყურებით წინ, ნატოს სამიტისკენ, – აღნიშნა შარაშენიძემ.

მედიანიუსი

# დავით ჯალაღანია: „კავკასიის რეგიონში რუსეთის აგრესიის მატება შეინიშნება“




საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ჯალაღანიას განცხადებით, კავკასიის რეგიონში გამოწვევებით სავსე ვითარებაა.

ამის შესახებ ჯალაღანიამ ჟურნალისტებს „კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ცვლილებების“ სახელწოდების კონფერენციის ფარგლებში განუცხადა, რომელშიც ექსპერტები, პოლიტიკოსები, ევროკავშირისა და ნატოს ოფიციალური პირები კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებასა და გამოწვევებზე მსჯელობენ.

– რეგიონში თუ ვიგულისხმებთ ჩვენს რეგიონს, ვიწროდ კავკასიის რეგიონს, რომელზეც ძირითადად არის დღევანდელი ღონისძიების ყურადღება მიმართული, რა თქმა უნდა, არაორდინარული და საკმაოდ გამოწვევებით სავსეა ვითარებაა, თუმცა, ასევე პერსპექტივებით აღსავსე სიტუაციაა. ბოლო ხანებში, მოგეხსენებათ, დაემატა მას რეგიონის ფართო გაგებით დაძაბულობის მატება, თუ ვიგულისხმებთ რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ, ასევე მიმდინარე მოვლენებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამდენად, საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მედიანიუსი

# ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავას ერთ საკანში მოთავსებაზე უარი ეთქვათ

ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავას ერთ საკანში მოთავსებაზე უარი ეთქვათ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განუცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის და შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავს ერთ საკანში მოთავსების მოთხოვნით ადვოკატებმა მიმართეს. მათი განცხადებით, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის საკნებში მარტო ყოფნა არაადამიანური მოპყრობისა და წამების ტოლფასია.



ადვოკატების მოთხოვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების ერთ საკანში მოთავსების თხოვნით მათ სასჯელაღსრულების სამინისტროსაც მიმართეს, თუმცა მათი მოთხოვნა სასჯელაღსრულების სამინისტრომ იმ არგუმენტით არ დააკმაყოფილა, რომ ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა ერთ საქმეზე არიან ბრალდებულები. ამავე არგუმენტით, უთხრა საქალაქო სასამართლომ უარი ადვოკატებს უგულავასა და მერაბიშვილის ერთ საკანში მოთავსებაზე.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი მარგველაშვილს ივანიშვილსა და სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აღმოაჩნდა



## „ქართული ოცნება“ – 22,4%, ნაციონალური მოძრაობა – 21,7%

შორენა მარსაგიშვილი

**ჩვენში სოციოლოგიურ კვლევებს ყოველთვის წივილ-კივილით ეგებებიან. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბოლო კვლევა გამოდგა. მისმა შედეგებმა ეჩს ზაფხულის ხვატი და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატიც კი მიავიწყა ღირსებით.**





ენდიაისა და აირაის ახლო ნათესავების მოკითხვით გულნაჯერები ქართველი პოლიტიკოსები 28 ივნისს გერმანულ-ამერიკულ ორგანიზაცია ჯიეფკას ნათესავების მოხსენიებით იყვნენ დაკავებული.

გერმანულ-ამერიკულმა ორგანიზაციამ კვლევა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დაკვეთით ჩაატარა. შედეგებმა კმაყოფილი მხოლოდ ნაციონალები და გიორგი მარგველაშვილი დატოვა. ამ უკანასკნელმა მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილზე მეტი მხარდამჭერი მოაგროვა.

რუსთავი 2-ის ცნობით, საქართველოში გამოკითხვა 7 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით ჩატარდა და მასში 2.200-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

კვლევების მიხედვით, შემდეგ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა უმრავლესობა ხმას გიორგი მარგველაშვილს მისცემდა:

გიორგი მარგველაშვილი – 12,6%, დავით ბაქრაძე – 9,9%, მიხეილ სააკაშვილი – 7,1%, პაატა ბურჭულაძე – 5,4%, ირაკლი ალასანია – 5,0%, შალვა ნათელაშვილი – 3,1%, გიორგი კვირიკაშვილი – 2,6%, ბიძინა ივანიშვილი – 2%, ნინო ბურჯანაძე – 2%, ირაკლი ღარიბაშვილი – 1,1%.

საინტერესოდ გადანაწილდა ხმები პარტიებზე. კვლევის შედეგების მიხედვით, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ხმას – გამოკითხულთა 22,4%, ნაციონალურ მოძრაობას კი 21,7% მისცემდა.

რესპონდენტთა 7,8%-მა სასურველ პარტიად პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“ დაასახელა. გამოკითხულთა 6,2% ფიქრობს, რომ 8 ოქტომბერს ხმას თავისუფალ დემოკრატებს მისცემს.

სხვა პარტიების მონაცემები ასე გამოიყურება:

ლეიბორისტული პარტია – 2,8%, პატრიოტთა ალიანსი-ირმა ინაშვილი – 2,2%, ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო – 1.6%, რესპუბლიკური პარტია – 0,6%, ახალი საქართველო – გიორგი ვაშაძე – 0.5%, პოლიტიკური ცენტრი გირჩი – 0,3%, საქართველოს გზა – სალომე ზურაბიშვილი – 0,2%, „თავისუფალი საქართველო კახა კუკავა“ – 0,2%.

გამოკითხულთა 3.9% არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში ხმას არცერთ პარტიას არ მისცემდა. უარი პასუხზე 10.0%-მა განაცხადა, ხოლო კატეგორია „მიჭირს პასუხის გაცემა/ჯერ არ გადამიწყვეტია“ აირჩია 19.4 %-მა.

* * *

პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი ამ კვლევამ სერიოზულად გაანაწყენა. პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ამ შედეგებს ვანოს შოუს ერთ-ერთ სერიალად განიხილავს.

– რუსთავი 2-ის ეთერით პრეზენტირებული ე.წ. გამოკითხვა ვანოს შოუს მორიგი სერიიდანაა, ეტყობა. ვიცინეთ, ვიცინეთ და ვიცინეთ!!! და 8 ოქტომბერსაც მაგრად დაგცინებთ ნაცმოძრაობასა და მის სატელიტ პარტიებს. გერმანულ-ამერიკული კომპანია არა, იხვის ტოლმა. მართლა, მეცინება. ოდესაში დაწერილი პროცენტები გამოამზეურეთ.

არავინ აღიქვამს სერიოზულად ამ ე.წ. ოდესის შედეგებს. ბარიერს ვერ ლახავთ და დაიწერეთ ახლა 99%, თუ ეს დაგამშვიდებთ. პოლიტიკური ლურსმნის დაჭედების დრო მოდის. სიამოვნებით დაგაჭედებთ 8 ოქტომბერს, – წერს ინაშვილი სოციალურ ქსელში.

მის პოზიციას იზიარებს და კვლევას უნდობლობას უცხადებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.

– როგორ შეიძლება ვენდოთ, ეს წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში, რუსთავი 2-სა და ნაციონალურ მოძრაობას არ ვენდობით, ისევე, როგორც „ქართული ოცნება“, რომ ატარებს კვლევას და ამბობს, რომ 90% აიღებს და 100 კაცს გაიყვანს, არც იმას ვენდობით. მე შეიძლება ვენდო რომელიმე ობიექტურ კვლევას, რომელიც არ არის რომელიმე პარტიასთან მიწებებული.

არ აქვს, მნიშვნელობა, ვინ ატარებს კვლევას, რუსთავი 2-მა შეუკვეთა – რუსთავი 2-მა მიიღო, ტყუილების მეტი რა მოგვისმენია. ამ კვლევას მე ვუყურებ, როგორც იუმორისტულ საქმიანობას. ჩემს თავსაც, ამაზე ამდენი ლაპარაკი რომ მიწევს, საკმაოდ იუმორისტულ ფერებში ვხედავ, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

შედეგებმა განსაკუთრებით დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გააცხარა. ნინო ბურჯანაძემ რუსთავი 2-ს სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მკვლელი უწოდა.

– ქვეყანა წინასაარჩევნო პერიოდიდან წინაპროვოკაციულ რეჟიმში გადაჰყავთ! სხვა არაფერი ჰქვია იმ ე.წ. კვლევებს, რომელიც დღეს რუსთავი 2-მა გამოაქვეყნა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, სახეზეა მცდელობა იმისა, რომ გაათანაბრონ ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი, ხოლო ნაცმოძრაობა თავისი სატელიტებით, როგორიც არის ალასანიასა და ბურჭულაძის პარტიები, პრაქტიკულად, უმრავლესობად წარმოაჩინონ.

ყველაზე მშვიდად და უდრტვინველად შედეგებს ირაკლი ალასანია შეხვდა. ის დარწმუნებულია, რომ არჩევნებზე მისი გუნდი მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერას მოიპოვებს.

– თავისუფალ დემოკრატებს ჩვენი კვლევებიც გვაქვს. გვაქვს მთავარი კვლევა. ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობა. ჩვენი რეიტინგი არის მზარდი ყველა კვლევით. საზოგადოების დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას მოვიპოვებთ. მთავარი ვერდიქტი იქნება 8 ოქტომბერი, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მართალია, პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ კვლევის შედეგებს „ქართული ოცნებაც“ უნდობლობას უცხადებს.

ეკა ბესელიას განცხადებით, ხალხის ზუსტი განწყობა არჩევნებზე გამოჩნდება.

– ამ ციფრებს ციფრებად დავტოვებდი. ჩვენი ამომრჩეველი არჩევანს გააკეთებს და ეს ციფრები რუსთავი 2-ის ოცნებაა, რომელსაც თქვენ ახმოვანებთ. არჩევნები ძალიან მალე იქნება და, ნდობის მანდატს თუ ვინმე დაიმსახურებს, ამას საზოგადოება იხილავს, მე ჩემს ამომრჩეველს ვენდობი, – განუცხადა ჟურნალისტებს ბესელიამ.

ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე კვლევის შედეგებით უზომოდ კმაყოფილია.

– „ოცნების“ ხელისუფლების რეიტინგი მთლიანად ჩამოშლილია და ჩვენს მოსახლეობას აღარ სურს, იცხოვროს იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰყავს უნიათო და საქმის არგამკეთებელი მთავრობა. ამას აჩვენებს კვლევაც, ისევე, როგორც ყველა სხვა კვლევა, რომელიც ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოქვეყნდა. ოქტომბრის არჩევნებზე დადგება ის შედეგი, რომელსაც აჩვენებს ეს კვლევები და დადგება ის შედეგი, რომელსაც იმსახურებს ქართველი ხალხი, რომ შეჩერდეს უკუსვლა, უძრაობა და ქვეყანა წავიდეს წინ, – განაცხადა ბაქრაძემ.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ნაციონალებს სოციოლოგიური კვლევების გაყალბების მცდელობაში ადანაშაულებს.

– ჯიეფკას სანდოობის საკითხიც დგას ეჭვქვეშ. 2012 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანუ ნაციონალური მოძრაობის არაპირდაპირი დაკვეთით მაშინ ჩაატარა იმავე ორგანიზაციამ კვლევა, ეგზიტპოლები და მაშინაც დაგვიდეს გაყალბებული შედეგები. 20%-ზე მაღალი ცდომილებით წარმოგვიდგინეს ჩვენ ეგზიტპოლების შედეგები 2012 წლის არჩევნებში ანუ უკვე არსებობს პრაქტიკა იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა გერმანულ-ამერიკულ ორგანიზაციასთან ერთად აყალბებდა სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, – აღნიშნა კობახიძემ.

კვლევის შედეგებს არ ენდობა არც პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი და შეთავსებით პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი.

– ჩვენ ბევრი ასეთ კვლევა გვინახავს და გვინახავს ძალიან განსხვავებული შედეგები არჩევნებზე. აბსოლუტური დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ ძალიან დიდი უპირატესობით ამ არჩევნებზე გაიმარჯვებს და ვფიქრობ, რომ ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. ეს იქნება, სავარაუდოდ, 100-ზე მეტი ადგილი პარლამენტში, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პარლამენტში 100 მეოცნებე დეპუტატის გაყვანის ამბავი გულზე მწარედ მოხვდათ ნაციონალებს. მათმა პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ „ქართულ ოცნებას“ შეუთვალა, ერთი 100 საწარმო ააშენეთ და მეორე 100 კაცს გაიყვანთ პარლამენტშიო.

# რატომ დააპატიმრეს ვანო მერაბიშვილის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი

შორენა მარსაგიშვილი




სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ვანო მერაბიშვილს გამოუშვებდნენ. მერაბიშვილის გამოშვების მაგივრად ციხეში მისი ყოფილი მოადგილე შოთა ხიზანიშვილი დააკავეს. ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ასე უპასუხა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსანი შოთა ხიზანიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ, 28 ივნისს, უფლებამოსილების გადამეტებაში დამნაშავედ ცნო. გუშინვე სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ლევან ქარდავასა და ვაჟა ლელუაშვილის მიმართაც. მოსამართლემ მათ 2-2-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

შს სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს, შოთა ხიზანიშვილს, ლევან ქარდავასა და ვაჟა ლელუაშვილს ბრალად უფლებამოსილების გადამეტება, კომპიუტერული ვირუსების გზით ყოფილი ოპოზიციის ლიდერების უკანონო მოსმენები და ბიძინა ივანიშვილის დაცვის თანამშრომელ ბესიკ სურმავაზე ზეწოლა ედებათ.

ლელუაშვილი და ქარდავა უკვე პატიმრობაში იმყოფებიან, ხიზანიშვილი კი პირდაპირ სასამართლო დარბაზში დააპატიმრეს.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდებამ დაკითხა 60-მდე მოწმე, გამოიკვლია 8 ტომი დოკუმენტური მტკიცებულება და 7 ექსპერტიზის დასკვნა.

– 2009 წელს ლელუაშვილმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებს უკანონოდ დაავალა ისეთი კომპიუტერული პროგრამის დამზადება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერ კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა, მათ შორის კომპიუტერთან ახლოს გამართული საუბრების უკანონო მიყურადება და ჩაწერა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ლელუაშვილის დავალების შესაბამისად, კუდის თანამშრომლებმა 2011 წელს შექმნეს ასეთი შესაძლებლობების მქონე კომპიუტერული „ვირუსული“ პროგრამა და განახორციელეს სხვადასხვა პირის კომპიუტერებში შეღწევა და პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება.

– 2012 წლის 27 სექტემბერს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში შს მინისტრის ყოფილმა მოადგილე შოთა ხიზანიშვილმა იმჟამინდელი ოპოზიციური პარტიის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის წევრ ბ. სურმავაზე განახორციელა უკანონო ზემოქმედება და დაიყოლია იგი, ვიდეოკამერის წინ ეთქვა მათ მიერ წინასწარ შედგენილი ტექსტი, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილის დავალებით ბ. სურმავა ფარულად იწერდა ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წევრების საუბრებს, – აცხადებენ პროკურატურაში.

სინამდვილეში ამგვარი ჩანაწერების მოპოვებას ლელუაშვილის მითითებით არასანქცირებულად და ფარულად ახდენდა შსს.

– ამ მიზნებისათვის შოთა ხიზანიშვილმა უკანონოდ განკარგა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი და სასამართლოს განაჩენით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეული თანხა 150.000 ევროს ოდენობით. 2012 წლის 27, 28 და 29 სექტემბერს შსს-ს თანამშრომლებმა ვირუსული პროგრამის გამოყენებით მოპოვებული უკანონო ჩანაწერები ბ. სურმავას სახელით საჯაროდ გაავრცელეს იუთუბის მეშვეობით, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

ეს ჩანაწერები „ქართულ ოცნებაში“ დღემდე მწარედ ახსოვთ. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ჩანაწერების შემდეგ აიცრუა ივანიშვილმა გული ალასანიასა და გუბაზ სანიკიძეზე, თინა ხიდაშელი კი სამარადისოდ გადაეკიდა ირაკლი ღარიბაშვილს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილმა ხიდაშელი უნდა მოხსნას, მაგრამ ამას ვერ აკეთებს“

ნონა ცაბაძე

**თავდაცვის მინისტრის მიერ სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა.**

***– ბატონო გია, როგორია თქვენი შეფასებები თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებაზე?***

– მე ვფიქრობ, ეს არის წმინდა პოლიტიკური ნაბიჯი ხიდაშელის მხრიდან. მას მთლიანად ესმის, რომ ახლო პერიოდში მოუწევს თანამდებობის დატოვება და თანამდებობის დატოვება უნდა მოხდეს კარის გაჯახუნების ფონზე. მე ვფიქრობ, ეს იყო კარის გაჯახუნების მცდელობა.

***– პრემიერის პროვოცირებას შეეცადა ხიდაშელი?***

– როდესაც ის ამბობს, რომ ამ თემაზე საუბრობდნენ, ის არ ამბობს, რომ ამაზე გადაწყვეტილება იყო მიღებული, საუბრები ნამდვილად იქნებოდა, იქ ყველაფერზე საუბრობენ. ეს უნდა იყოს სისტემური გადაწყვეტილება, არ შეიძლება კონტექსტიდან ამოგლეჯილად ერთი გადაწყვეტილება მიიღო.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ აქ არის ფინანსური საკითხები, თუ ამაზე უარს ამბობ, მაშინ საკონტრაქტო სამსახურის დაფინანსება ბევრად უფრო მაღალია. შესაბამისად, ამას სჭირდება ბიუჯეტის კორექტირება და ასე შემდეგ. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ხიდაშელი ამბობს ნახევრად სიმართლეს.

ის ცდილობს, რომ შექმნას განწყობა, რომ თითქოს ეს საკითხი იყო შეთანხმებული ყველასთან და იყენებს იმას, რომ ამაზე საუბრობდა. სხვაა საუბარი და გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა და მექანიზმი არის ბევრად უფრო რთული, ვიდრე მას უნდა, რომ ასე ზედაპირულად წარმოაჩინოს და საზოგადოება დააბნიოს.

***– ეს გადაწყვეტილება ამომრჩევლის გულის მოგება იყო?***

– რა თქმა უნდა, სოციალურად ეს საკმაოდ სენსიტიური სეგმენტია – ახალწვეულების მშობლები. თინა ხიდაშელის მხრიდან ეს იყო რევერანსი ამ სეგმენტზე. რომ მე კარგის გაკეთება მინდოდა, მაგრამ ვიღაც ცუდი ხალხია მთავრობაში, რომლებმაც მოახდინეს ამ ყველაფრის ბლოკირება. იქ იყო ერთი ფრაზა, ჩემი აზრით ძალიან არასერიოზული და საკმაოდ სახიფათო, სადაც ჩანდა პროვოკაცია.



***– რომელი ფრაზა?***

– მის განცხადებაში გაისმა, მე დღეს ამ გადაწყვეტილებას მივიღებ და შემდეგმა მინისტრმა, ვინც იქნება, იმას კისერი უტეხია და თუ უნდა, მერე შეცვალოს ეს გადაწყვეტილებაო. როგორ შეიძლება თავდაცვის მინისტრი ასე არასერიოზულად ლაპარაკობდეს, რომ მე ამას გავაკეთებ და მერე ვინც მოვა, იმან ალოკოს ეს პრობლემებიო. ეს არის წარმოუდგენელი რიტორიკა და, საბოლოო ჯამში, საბოტაჟს ემსგავსება.

***– რაში ხედავთ საბოტაჟის ნიშნებს?***

– იმაში, რომ სახელმწიფოში ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება გრძელვადიან გათვლებს უნდა ემყარებოდეს და ეს გრძელვადიანი გათვლა არ მოიცავს ერთ და ორ ხელისუფლებას. ეს არის საუკუნის გადაწყვეტილება. მთლიანად უსაფრთხოების პრინციპების ერთ-ერთი ფუნდამენტის ცვლილება!

***– წინ ვარშავის სამიტია, ესეც გათვალა ხიდაშელმა?***

– ზუსტად! მე ამაში დავინახე ისიც, რომ ხიდაშელმა ზუსტად იცის, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ მოუწევს თანამდებობის დატოვება. შესაბამისად, რესპუბლიკურ პარტიას არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რომ რეაქცია იქნებოდა მწვავე ხელისუფლების მხრიდან და გარკვეულწილად პროვოცირება კვირიკაშვილის, რომ მიიღოს რაღაც ორგანიზაციული გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ სამიტამდე.

***– როგორი გადაწყვეტილება?***

– ასეთი ქმედების შემდეგ პრემიერ-მინისტრი არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია, რომ მინისტრი, რომელიც ასე არღვევს სუბორდინაციას მთავრობაში, ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებს შეუთანხმებლად, გაათავისუფლოს თანამდებობიდან სწორედ იმ დარღვევების და თავნებობისთვის. მაგრამ, მეორე მხრივ, ვარშავის სამიტის წინ მისი გათავისუფლება ზიანს მიაყენებს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს, იმიტომ, რომ იქ გაჩნდება კითხვები.

***– რა კითხვები?***

– სამიტის წინ რატომ იხსნება თავდაცვის მინისტრი, რომელიც იყო ამ ევროატლანტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ლობისტი. იქ იმის ახსნა, თუ რა მოხდა რეალურად, ძალიან რთულია. შესაბამისად, ზიანდება სახელმწიფო ინტერესი.

***– ანუ ხიდაშელმა უკანა პლანზე დააყენა სახელმწიფო ინტერესი და ვიწროპარტიული ინტერესი წამოწია წინ?***

– ეს თავისთავად ცხადია. სახელმწიფო ინტერესზე აქ საერთოდ აღარ არის ლაპარაკი. ის კი ცდილობს, რომ შეფუთოს რაღაც მისიონისტური ფრაზებით, რომ ამერიკელებთან ერთად საოცრებებს აკეთებს. ის ცდილობს, რომ ეს ყველაფერი გადაფაროს პლაკატური რიტორიკით. სინამდვილეში სხვა რამ ხდება. მას კარგად ესმოდა, რომ ამას მთავრობაში სერიოზული გაუგებრობა მოჰყვებოდა.

## „მარგველაშვილის როლი აუცილებლად გაიზრდება“

***– და მიზანმიმართულად წავიდა ამაზე?***

– მას რომ სახელმწიფო ინტერესზე ეფიქრა, ან თუ პრინციპულად ჰქონდა გადაწყვეტილი ამ აქტის გამოცემა, გადაეტანა ვარშავის სამიტის იქით. ამ ორ კვირაში რა ხდებოდა ისეთი, რომ ეს თემა ვერ მოიცდიდა?! ეს არაფერს შეცვლიდა.

ვიმეორებ, რომ ძალიან რთულ მდგომარეობაშია კვირიკაშვილი. ერთი მხრივ, მას აქვს ვალდებულება, რომ ასეთი მინისტრი დაისაჯოს, მეორე მხრივ, ისიც ესმის, რომ თავდაცვის მინისტრის სამიტამდე გათავისუფლება არის საზიანო. კვირიკაშვილმა არჩევანი უნდა გააკეთოს ცუდსა და უარესს შორის.

და ეს ყველაფერი გაკეთდა აბსოლუტურად შეგნებულად! რასაც მე ახლა ვყვები, რესპუბლიკური პარტიის მხრიდან ეს გათვლადი იყო. ისინი შეგნებულად წავიდნენ ამ სცენარზე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მიზნით.

***– რამდენად წაადგებათ ეს ნაბიჯი?***

– საარჩევნოდ ეს მაინც არ უშველის, მაგრამ ეს არის მათი პოლიტიკური არჩევანი და ასე იქცევიან. საბოლოო ჯამში კვირიკაშვილის დანაშაულიც არის, რომ ვითარება აქამდე მივიდა.

***– რაში ადანაშაულებთ კვირიკაშვილს?***

– მან თქვა თავის დროზე, რომ ჰყავს რესპუბლიკელი მინისტრების შემცვლელები, მაგრამ ვერ იტყვის, როდის მოხდება ეს, იმიტომ, რომ მან არ იცის, როდის მოეხასიათებათ რესპუბლიკელებს თანამდებობების დატოვება.

პრემიერი ასე არ იქცევა! პრემიერი არ შეიძლება მუშაობდეს სხვა პარტიის დღის წესრიგით. მას უნდა ჰქონდეს თავისი დღის წესრიგი, ის თვითონ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს. მე ვფიქრობ, რომ მისი ეს ფრაზა იყო აშკარა სისუსტის დადასტურება.

***– რატომ წავიდა ასეთ დათმობაზე?***

– ვერ გეტყვით. მას რომ იმ დროს ეს გადაწყვეტილება მიეღო, დღეს ასეთი სერიოზული პროვოკაციის საფრთხის წინაშე არ დავდგებოდით! რესპუბლიკელი მინისტრებისგან ახალ პროვოკაციებსაც არ გამოვრიცხავ. ისინი ემზადებიან ახალი პოლიტიკური სტარტისთვის და შეეცდებიან, გამოიყენონ ყველა შესაძლო ბერკეტი და კარის გაჯახუნებით წავიდნენ, რომ გამიჯვნა მოხდეს მათსა და ხელისუფლებას შორის. თავდაცვის მინისტრმა ყველა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა – პრემიერი, პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალები.

***– პრეზიდენტი ახსენეთ და როდესაც ასეთი ქაოსია ხელისუფლებაში, თითქმის აღარ არსებობს უმრავლესობა, ამ დროს პრეზიდენტი საკუთარ გუნდს აძლიერებს. რისთვის ემზადება მარგველაშვილი?***

– ის ემზადება თავისი კონსტიტუციური მოვალეობის შესასრულებლად. ერთადერთი ზეპოლიტიკური ინსტიტუტი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს 100%-იანი ლეგიტიმაცია, არის პრეზიდენტის ინსტიტუტი! შესაბამისად, თუ ქვეყანას დასჭირდა კრიზის-მენეჯმენტი, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც ამ ფუნქციის საკუთარ თავზე აღება შეუძლია, არის პრეზიდენტის ინსტიტუტი.

***– ამისთვის ამზადებს გუნდს?***

– შესაბამისად, ასეთი რთული საკითხების გადაწყვეტას სჭირდება სერიოზული გუნდი, პრეზიდენტი ამას მარტო ვერ გააკეთებს. კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლის მცდელობები იქნება, ჩვენ ამის მოლოდინები გვაქვს და პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციური წესრიგი. ამას კი სჭირდება სერიოზული ინტელექტუალური და პროფესიული ჯგუფი, რომელიც მოახერხებს ვითარების შენარჩუნებას კონსტიტუციის ფარგლებში და საარჩევნო პროცესის მაქსიმალურად ლეგიტიმაციას. მისი ქმედება აბსოლუტურად ლოგიკურია.

# გიორგი ვაშაძეს ხარვეზების აღმოფხვრისათვის ათდღიანი ვადა დაუდგინდა



გიორგი ვაშაძის მიერ პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი განაცხადის განხილვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, განაცხადში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადით შეჩერებულია, – აცნობეს მედიანიუსს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან.

უწყება განმარტავს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინება, ამავე კანონით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო სარეგისტრაციო დოკუმენტაციის/მონაცემების გარდა, პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ახალი პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის „განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება“.

გიორგიმ ვაშაძემ საჯარო რეესტრს სარეგისტრაციო განაცხადით 2016 წლის 8 ივნისს მიმართა. პარტიის რეგისტრაციის ვადა 2016 წლის 8 ივლისს იწურებოდა.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სარეგისტრაციო განაცხადს დანართის სახით თან ერთვოდა პარტიის არანაკლებ 1000 წევრის – 1830 წევრის მონაცემები. ამასთან, აღნიშნული საერთო სიის გარდა, წარმოდგენილი იყო პარტიის დამფუძნებელ წევრთა სია, რომელიც 357 პირის მონაცემებს შეიცავდა.

მოქმედი კანონის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, წარდგენილი ყველა დოკუმენტის სისწორეს, მათ შორის პარტიის წევრთა სიას, ამოწმებს. სააგენტოს მიერ აღნიშნული სიის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართულ წევრთა საერთო სიაში შეყვანილია არა 1830, არამედ 1.827 პირის მონაცემი, ხოლო მეორე, პარტიის დამფუძნებელ წევრთა სია ორგანული კანონით განსაზღვრულ მონაცემებს სრულად არ შეიცავს.

სარეგისტრაციო წარმოების პროცესში ორივე სია ერთმანეთს შედარდა, რის შედეგადაც გამოირიცხნენ ის პირები, რომლებიც ერთდროულად ორივე სიაში ფიგურირებდნენ. საბოლოოდ, საერთო ჯამში, პირთა მონაცემების რაოდენობამ 1848 შეადგინა.

აღნიშნული 1.848 მონაცემი, რომელიც ხელით შევსებული და ხშირ შემთხვევაში რთულად გასარკვევი იყო, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სრულად გადამოწმდა. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 1.848 მონაცემიდან სრულყოფილია 636 მონაცემი, 1.212 მონაცემი კი ხარვეზიანია.

ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი პირის მონაცემებს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ხარვეზი აქვს. კერძოდ, ცალკეული რეკვიზიტები – ხელმოწერა, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართი არასრულყოფილად, ზოგ შემთხვევაში შეცდომით ან საერთოდ არ არის მითითებული. სხვა შემთხვევებში კი მონაცემებში შეტანილია გაუქმებული პირადობის მოწმობის რეკვიზიტები, დუბლირებულია მონაცემები. სიაში ასევე შეყვანილია 1 გარდაცვლილი პირი, ასევე 3 უცხო ქვეყნის მოქალაქე და 11 არასრულწლოვანი, რითაც დარღვეულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმად პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს აქვს. ამასთან, სიის დიდი ნაწილი შეიცავს პირადობის მოწმობების არასრულ მონაცემებს: რიგ შემთხვევაში არასწორად იყო მითითებული მოწმობის ნომერი. მოქმედი კანონის თანახმად, სიის სავალდებულო რეკვიზიტს წარმოადგენს სრული ინფორმაცია პირადობის მოწმობის ნომრის შესახებ.

არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სიები ორგანული კანონით განსაზღვრულ პარტიის წევრთა მინიმალურ ოდენობაზე – 1000 წევრზე ნაკლებს შეადგენს. 1000 წევრამდე სიის შესავსებად პოლიტიკურ გაერთიანებას 364 წევრის სრულყოფილი, სწორი მონაცემი აკლია.

აღნიშნული ხარვეზის შესახებ პოლიტიკურ გაერთიანებას წერილობით ეცნობა და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ათდღიანი ვადა. განმცხადებლის მიერ სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სააგენტო შესაბამის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში მიიღებს.

მედიანიუსი

# ოზურგეთში, ლიფტის შახტაში ჩავარდნილი მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე, 12-სართულიანი კორპუსის მე-5 სართულიდან ლიფტის შახტაში 60 წლამდე მამაკაცი ჩავარდა. როგორც მედიანიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევა სარემონტო სამუშაოების დროს მოხდა. მაშველებმა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.




მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

შემთხვევის ადგილიდან ფოტომასალას გურიის მოამბე ავრცელებს.

მედიანიუსი

შორენა მარსაგიშვილი

# რატომ გამოყარა ივანიშვილმა რესპუბლიკელები კოალიციიდან

## მურმან დუმბაძე: „არჩილ ხაბაძემ გადადგომაზე განცხადება დაწერა“

**არის თუ არა მთავრობაში კრიზისი, რატომ გაემიჯნა ივანიშვილი რესპუბლიკელებსა და ეროვნულ ფორუმს, რატომ მოიგო პარლამენტმა ნოტარიუსის ფუნქცია, რითი ემუქრებიან ნაციონალები არჩილ ხაბაძეს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.**

**მურმან დუმბაძე:**

– პოლიტიკური პროცესები ისე მიდის, რომ თინა ხიდაშელი დღეს თუ ხვალ მთავრობასთან ოპონირების რეჟიმში გადავა. თანამდებობის დატოვებამდე მან მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსახლეობის ნაწილის გული მოიგო. მხედველობაში წვევამდელები და მათი ახლობლები მყავს.

ჩემთვის ხიდაშელის გადაწყვეტილება სავსებით გასაგებია. სამაგიეროდ, გაუგებარია ის პოზიცია, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიკავეს. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, გამუდმებით მიდის საუბრები იმაზე, რომ სავალდებულო გაწვევა გაუქმდება. ხიდაშელმა, მართალია, პროვოკაციული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ სწორი ნაბიჯი გადადგა. პროფესიული ჯარი საქართველოს უფრო გამოადგება, ვიდრე არსებული სისტემა.

***– აბა, რატომ არიან ხიდაშელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო, არავის რომ არ ჰკითხა თუ კიდევ სხვა მიზეზი არსებობს?***

– თავდაცვის მინისტრს კანონი არ დაურღვევია. ხელისუფლება გამუდმებით საუბრობდა სავალდებულო გაწვევის წესის გაუქმებაზე. ზოგიერთი იმაზეც დავობს, რაღა ახლა მიიღო ეს გადაწყვეტილებაო. რა დროსაც არ უნდა მიეღო, მაინც ასეთი ამბავი ატყდებოდა. საპანიკო არაფერია. თუ ეს გადაწყვეტილება „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებელია, ამ ბრძანების გაუქმება თავისუფლად შეუძლია როგორც პრემიერს, ასევე მომავალ თავდაცვის მინისტრს.

მთავარი პრეტენზია ისაა, რომ ხიდაშელმა ეს გადაწყვეტილება არავისთან შეათანხმა. დიდ პრობლემას მე ვერც შეუთანხმებლობაში ვხედავ.

***– არ არის პრობლემა, როცა თავდაცვის მინისტრი ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს?***

– გადაწყვეტილებას გააჩნია. ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ აქვთ გაცხადებული, რომ სავალდებულო გაწვევა უნდა გაუქმდეს. რაც არის, არის, გადაწყვეტილება არის ორიგინალური და ერთპიროვნული. ამით, როგორც უკვე გითხარით, მან ამომრჩევლის გული მოიგო. წინასაარჩევნო შეხვედრებზე როცა მივა, იტყვის, რომ მან შეასრულა დანაპირები.

***– ექსპერტების ნაწილმა განაცხადა, რომ სახეზე გვაქვს სამთავრობო კრიზისი. რას იტყვით ამის შესახებ?***

– კრიზისი ახლა არ დაწყებულა. კოალიციის დაშლის შემდეგ მთავრობაში ბუნებრივად შეიქმნა კრიზისული ვითარება. მთავრობაში გუნდურობა არ არის.

ამას აჭარაში მიმდინარე პროცესებიც ადასტურებს. ერთი კვირის წინ აჭარის მთავრობის მეთაური არჩილ ხაბაძე აცხადებდა, რომ ან პარლამენტის წევრი გახდებოდა, ან „ქართული ოცნების“ სიას ჩაუდგებოდა სათავეში აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, არც იმას გამორიცხავდა, რომ არსებულ თანამდებობას შეინარჩუნებდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი დალაგებული იყო.

2 დღის წინ ცნობილი გახდა, რომ მან თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. მის ადგილზე უკვე მოიაზრება პატარიძე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს კარგად გრძნობდა თავს. საკონსულოებსა და საელჩოებში მუშაობდა, მაგრამ პოლიტიკასთან საქმე არასდროს ჰქონია.

ამ მოულოდნელი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „ქართული ოცნება“ არც ისეთი შეკრულია, როგორც ეს თავად ჰგონიათ. იციან, რომ ძველი სახეებით არჩევნების მოგება გაუჭირდებათ და ახალი სახეების მოძებნას ცდილობენ.

***– ერთი კვირის წინ ხაბაძეს თუ საქმე კარგად ჰქონდა, ამ ერთ კვირაში რა შეიცვალა?***

– ივანიშვილ-კვირიკაშვილის ხელისუფლებას ამ კაცით არჩევნებზე სერიოზული შედეგის დადება ძალიან გაუჭირდებოდა. მისი რეიტინგი საერთოდ არ იკითხება.

კვირიკაშვილმა თავიდანვე კარგად შეაფასა ხაბაძის შესაძლებლობები. როდესაც ის აჭარის მთავრობის მეთაურად დაინიშნა, კვირიკაშვილმა პირდაპირ უთხრა ივანიშვილს, რომ მისი პირველი პირობა დიდი შედეგის მომტანი არ იქნებოდა. ამ საუბარს მეც ვესწრებოდი და ივანიშვილს ვუთხარი, რომ აჯობებდა, ხაბაძე ფინანსთა მინისტრად დაენიშნათ. ამაში კვირიკაშვილიც დამეთანხმა. როცა პრემიერად კვირიკაშვილი აირჩიეს, მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ხაბაძეს მალე მოუწევდა წასვლა.

***– თქვენ ზემოთ თქვით, რომ ხაბაძემ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. ეს ინფორმაცია რატომ არსად გაჟღერდა?***

– ოფიციალურად იმიტომ არ ახმაურებენ, რომ გარანტიები არ აქვთ. განცხადება კი უკვე დაწერილია.

***– რისი გარანტიები არ აქვთ?***

– აჭარის უმაღლესმა საბჭომ მთავრობის მეთაური რომ აირჩიოს, ამას რთული პროცედურა სჭირდება. კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იყოს ქვეყნის პრემიერთან და პრეზიდენტთან. შემდეგ პრეზიდენტი მას დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს. უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად დეპუტატების გარკვეული რაოდენობის მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დღეებში პატარიძე უკვე შეხვდა დეპუტატების ნაწილს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ქართული ოცნება“ კანდიდატის გასაყვანად საჭირო ხმებს ვერ აგროვებს. ამიტომაც ასაიდუმლოებენ.

***– რამდენი კაცის თანხმობაა საჭირო?***

– აჭარის უმაღლეს საბჭოში სულ 21 დეპუტატია. 11 კაცი მაინც უნდა გიჭერდეს მხარს, მთავრობის მეთაურად რომ აგირჩიონ. „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ 10 კაცი ჰყავს. მე-11 კაცს ეძებენ. როგორც კი საჭირო კაცს იპოვიან, მაშინვე გაავრცელებენ განცხადებას, რომ ხაბაძემ თანამდებობა დატოვა.

***– ხაბაძის განცხადების დაწერა რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ნაციონალების მოთხოვნას. რამდენიმე დღის წინ მათ აჭარის მთავრობის მეთაურს ულტიმატუმი წაუყენეს.***

– ნაციონალებმა ხაბაძეს ულტიმატუმი წაუყენეს, რომ თუ ის 5 ივლისამდე არ დატოვებს თანამდებობას, მის წინააღმდეგ კომპრომატებს გამოაქვეყნებენ.

***– ბევრი კომპრომატი აქვთ ხაბაძის წინააღმდეგ?***

– 3-4 წლის განმავლობაში მასზე ბევრ მასალას მოაგროვებდნენ. მეც ბევრჯერ ვამხილე ის კანონის დარღვევაში. ყოფილ ხელისუფლებას შესაძლოა უფრო საინტერესო ამბებიც აქვს გამოსამზეურებელი.

***– მას ამ კომპრომატების შეეშინდა და ამიტომ დაწერა განცხადება?***

– არა მგონია. ნაციონალებს მისი გადადგომა არ სურთ. განცხადება იმ მიზეზით გააკეთეს, რომ ეგონათ, ხაბაძე არ გადადგებოდა. ნაციონალებმა პოლიტიკური ხრიკი იხმარეს. მათ ყველაზე ნაკლებად უნდათ, რომ არჩილ ხაბაძე წავიდეს.

***– მისი წასვლა რატომ არ უნდათ?***

– ასეთი გასვრილი და სუსტი ლიდერის ნახვა იოლი არ არის. მათ კარგად იციან, რა განწყობით არის ხალხი ხაბაძისა და „ოცნების“ მიმართ. ამიტომაც იმედი ჰქონდათ, რომ ის მათი მოთხოვნის გამო არ გადადგებოდა. „ქართულმა ოცნებამ“ მას განცხადება დააწერინა. ხელისუფლებისთვის მომგებიანია, თუ ახალი სახე ეყოლება არჩევნების წინ.

მე არ ვიცი, ვინ იქნება ხაბაძის შემცვლელი, პატარიძე თუ ვინმე სხვა. თბილისიდან მთავრობის მეთაურის დანიშვნა დიდი შეცდომაა. საქართველოს მთავრობა ამბობს, რომ ევროკავშირის გზას ვადგავართ, ამ დროს კი კომუნისტური მეთოდებით ვმართავთ ქვეყანას. დროა, აჭარის მეთაური თავად მოსახლეობამ აირჩიოს. მესმის, რომ რადგან ავტონომიასთან გვაქვს საქმე, ცენტრალურ ხელისუფლებას რაღაცის ეშინია. მას მინდა ვუთხრა, რომ ახლა 21-ე საუკუნეა და საქართველო საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ამ შიშებს საფუძველი არ ჰქონდეს.

***– მოდით, ცენტრალურ მთავრობაზე გავაგრძელოთ საუბარი. როგორც ამბობენ, შესაძლოა, კვირიკაშვილმა რესპუბლიკელი მინისტრები გადააყენოს. ამაზე რას იტყვით?***

– რამდენიმე მინისტრს პრემიერი აუცილებლად შეცვლის. თინა ხიდაშელი საკმაოდ გონიერი ქალია და კვირიკაშვილს თავს არ გადააყენებინებს. ხიდაშელი საკუთარი ნებით დატოვებს პოსტს.

***– რას იზამენ აგულაშვილი და ზაქარეიშვილი?***

– უსუფაშვილ-ხიდაშელის გავლენა რესპუბლიკელ მინისტრებზე ძალიან დიდია და არა მგონია, მათ თანამდებობები შეინარჩუნონ. ისინი დიდი ხანია პოლიტიკაში არიან და ამ წამოსვლითაც მიიღებენ სარგებლობას.



### „უსუფაშვილი რომ არა, 100.000-იან მიტინგებს მივიღებდით“

***– წამოსვლისას კარს გაიჯახუნებენ?***

– არა მგონია, ევროპულად წავლენ. სინამდვილეში ეს იქნება კარის გაჯახუნება. მათ კარი კარგა ხნის წინ გააჯახუნებინეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ივანიშვილმა რესპუბლიკელებსა და ფორუმს კოალიციურ ერთობაზე უარი უთხრა. კი ამბობენ, ერთობლივი გადაწყვეტილება იყოო, მაგრამ სინამდვილეში ივანიშვილმა ისინი გაყარა.

***– რატომ მოიძულა ექსპრემიერმა რესპუბლიკელები?***

– ფიქრობს, რომ რესპუბლიკური პარტია „ქართულ ოცნებას“ უკან ექაჩება. მათი ერთად ყოფნაც უკვე შეუძლებელი ჩანდა. რესპუბლიკელები განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდნენ კენჭისყრებზე. თავიდან ასე არ იყო. რესპუბლიკელები არც იმაზე ჩიოდნენ, რომ პარლამენტი ნოტარიუსად იყო ქცეული. ახლა ამის შესახებ უკვე ღიად საუბრობს ვახტანგ ხმალაძე.

ამ წინააღმდეგობებისა და განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, დავით უსუფაშვილმა თავის მოვალეობას კარგად გაართვა თავი. ის გამოცდილი პოლიტიკოსია და ეს სპიკერობის დროსაც დაამტკიცა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დუღილის პროცესი პარლამენტში ყოფილიყო. ეგ რომ არა, პროცესები ქუჩაში გადავიდოდა და 100.000-იან მიტინგებს მივიღებდით.

# რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე გათავისუფლდება



საქართველოს მთავრობის პრესსამსახური 27 ივნისს პრაღაში, ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

მთავრობის ცნობით, უკანასკნელ პერიოდში საოკუპაციო ხაზთან უკანონო ქმედებების გათვალისწინებით, შეხვედრის დასაწყისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ რუსული მხარის ყურადღება გაამახვილა 19 მაისს სოფელ ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტზე. მან აღნიშნა, რომ ასეთი სასტიკი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და ხაზი გაუსვა დამნაშავის სწრაფად დაპატიმრების აუცილებლობას.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ზოგადად გაიზიარა ეს პოზიცია, თუმცა განაცხადა, რომ მკვლელობა კონკრეტული ე.წ. აფხაზი მესაზღვრის მიერ ჩადენილი დანაშაულია და რუსეთის მხარეს ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ზურაბ აბაშიძემ ასევე ისაუბრა ოკუპირებულ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე.

ამავე კონტექსტში ხაზი გაესვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული და ჰუმანიტარული საკითხების განხილვის უმთავრეს ფორმატს.

გაიმართა საუბარი სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული ხასიათის საკითხებზე, რაც გათვალისწინებულია პრაღის ფორმატის დღის წესრიგით. მიღწეულ იქნა კონკრეტული შეთანხმებები, კერძოდ, რუსეთის ბაზარზე ქართული ექსპორტის, ასევე სატრანსპორტო გადაზიდვების ზრდის კუთხით.

შეხვედრაზე ითქვა, რომ 2016 წლის 5 თვის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის შეიმჩნევა სავაჭრო ბრუნვისა და საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობის ზრდის დინამიკა.

ზურაბ აბაშიძემ ხაზი გაუსვა, რომ ქართულმა მხარემ რამდენიმე თვის წინ დაასრულა მუშაობა 2011 წელს „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ჰუმანიტარული საკითხები, კერძოდ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში იხდიან სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით. აღინიშნა, რომ განვლილ პერიოდში საქართველოს 6 მოქალაქე დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს. 28 ივნისს, კიდევ ერთი ჩვენი მოქალაქე განთავისუფლდება და იგი სამშობლოში დაბრუნდება.

პრაღაში მომდევნო შეხვედრის თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება.

**მედიანიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სირიაში პანკისის მკვიდრი, 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი დაიღუპა



სირიაში საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, პანკისის ხეობის სოფელ დუმასტურში მცხოვრები, 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი დაიღუპა, – ამ ინფორმაციას პანკისის სათემო რადიო WAY ავრცელებს. ასლანბეგ ბორჩაშვილი საქართველოდან თურქეთში 2015 წლის აგვისტოში წავიდა, საიდანაც სირიაში გადავიდა. საქართველოდან წასვლამდე ასლანბეგ ბორჩაშვილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობის მესამე კურსზე სწავლობდა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების თქმით, ასლანბეგ ბორჩაშვილი თურქეთში სამუშაოდ იყო წასული. კახეთის საინფორმაციო ცენტრი ასლანბეგ ბორჩაშვილისა და მასთან ერთად მისივე ბიძაშვილის, ამირან ბორჩაშვილის სირიაში წასვლის შესახებ გასული წლის სექტემბერში იუწყებოდა. ორივე მათგანი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. ამირან ბორჩაშვილი ისტორიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი იყო.

ასლანბეგ და ამირან ბორჩაშვილების სირიაში წასვლის დროისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პანკისის ხეობაში ტერორიზმის ხელშეწყობისა და ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით ახალგაზრდების გადაბირების ბრალდებით უკვე 2 თვის დაკავებული ჰყავდა სოფელ ჯოყოლოს ყოფილი იმამი აიუფ ბორჩაშვილი.

სირიაში საბრძოლო მოქმედებებში უკვე 16 პანკისელი დაიღუპა.

22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი; 39 წლის ვახა ბუგიევი; 24 წლის რამზან ფარეულიძე; 22 წლის მუხმად თურქოშვილი; 23 წლის თურფალ ბორჩაშვილი; 33 წლის იბრაჰიმ ცათიაშვილი; 24 წლის დავით სვიაკაური; 18 წლის ისრაფილ ცათიაშვილი; 21 წლის ჯაბრაილ ცათიაშვილი; 22 წლის გურამ გუმაშვილი; 18 წლის ბესო კუშტანაშვილი; 36 წლის რუსლან მაჩალიკაშვილი; 24 წლის ხალიდ აჭიშვილი; 26 წლის ჰამზათ აჭიშვილი; 40 წლის აბდულ-მალიქ მუთოშვილი; 23 წლის რუსტამ გელაევი;

არსებული ინფორმაციით, პანკისის ხეობიდან სირიაში 50-მდე ახალგაზრდა იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს, რომლის ორი ლიდერიც, თარხან ბათირაშვილი და მურად მარგოშვილი, პანკისის ხეობიდან არიან.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „დელტას“ ყოფილი დირექტორი მის გათავისუფლებაში თინა ხიდაშელის „პირად დაინტერესებაზე“ საუბრობს

„დელტას“ ყოფილი გენერალური დირექტორი უჩა ძოძუაშვილი განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში უჩა ძოძუაშვილი აღნიშნავს, რომ თავდაცვის მინისტრის 18 მაისის ბრძანება, რომლითაც „დელტას“ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება მოხდა, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული, განხორციელდა დარღვევებით და ეყრდნობოდა მინისტრის სუბიექტურ აზრს.

ძოძუაშვილი მის გათავისუფლებაში მინისტრის პირად დაინტერესებასა და მოკვლევის მიკერძოებულობაზე საუბრობს.

„დელტას“ ყოფილი ხელმძღვანელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საკითხით დაინტერესებას სთხოვს და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამის მიუკერძოებელ სტრუქტურებს სრული ინფორმაცია მიაწოდოს, როგორც კონკრეტულად 15 მაისის სეტყვის პროცესთან, ასევე მთელი სისტემის შექმნასა და ოპერირებასთან დაკავშირებით.

უჩა ძოძუაშვილის განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია, ჩავაყენო საზოგადოება საქმის კურსში თავდაცვის სამინისტროსა და სსსტც „დელტას“ შორის მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

თავდაცვის მინისტრის 18 მაისის ბრძანება, რომლითაც მოხდა ჩემი „დელტას“ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული, განხორციელდა დარღვევებით და ეყრდნობოდა მინისტრის სუბიექტურ აზრს. ეს ბრძანება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თანადგომით გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში და მისი არამართლზომიერება სასამართლოს გზით იქნება დამტკიცებული.

ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა ყველა ის მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო ინტერესებისათვის უმნიშვნელოვანესი პროცესი, პროექტი და საერთაშორისო მოლაპარაკება, რომლებზეც ეროვნული სამხედრო სამეცნიერო სამრეწველო კომპლექს „დელტას“ გუნდი მუშაობდა ბოლო წლების განმავლობაში.

ეს არის დარტყმა არა მხოლოდ ჩემზე, არამედ სრულად იმ გუნდზე, რომელმაც ამ წარმატებებს მიაღწია, რომელმაც უზომო სამუშაო გასწია დღევანდელი შედეგებისთვის და ჯილდოდ მინისტრისგან საჯარო გაკიცხვა და მიკერძოებული სამსახურეობრივი მოკვლევები მიიღო.

დღეს „დელტა“ წარმატებული ორგანიზაციაა, რომლის მიმდინარე ხელშეკრულებები 54 მლნ აჭარბებს, ხოლო საბოლოო მოლაპარაკებებისა და გაფორმების ეტაპზე ხელშეკრულებები 153 მლნ ზე მეტია, ეს ციფრი მრავალჯერ აჭარბებს დელტას მიმდინარე ბიუჯეტს და თავდაცვის ბიუჯეტის 75% -ზე მეტია. მიუხედავად ამისა ჩვენს მიღწევებს სამინისტრო არ წარმოაჩენს, ხოლო სამინისტროს მიერ დაშვებული შეცდომების გამართლებას „დელტას“ ბრალეულობაში ეძებს.



ჩემი გათავისუფლების ბრძანების გამოსვლის დღიდან „დელტაში“ შემოსულია თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და სამხედრო პოლიცია, თუმცა დღემდე მათ ვერ მოახერხეს დაედოთ დასკვნა, რომელიც დაასაბუთებდა მინისტრის ბრძანებას. ხაზს ვუსვამ, რომ გენერალური ინსპექციის დასკვნა, რომელზეც ისაუბრა მინისტრმა დღემდე არ არის გაგზავნილი „დელტაში“. აქედან გამომდინარე, მინისტრის განცხადება არა მხოლოდ შეუსაბამოა კანონთან, არამედ ეწინააღმდეგება მისი 17-18 მაისს გაკეთებულ განცხადებებს, რომ 15 მაისის სეტყვით გამოწვეული ზარალის მიზეზები რამდენიმე დღეში სრულად იქნებოდა გამოკვლეული, ხოლო მას შემდეგ, რაც დადგინდებოდა ჩემი უდანაშაულობა, მომეცემოდა მუშაობის გაგრძელების საშუალება. გენერალურმა ინსპექციამ უგულებელყო 15 მაისის სეტყვასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია და ნაცვლად სამართლიანი დასკვნის შედგენისა, დაიწყო მინისტრის გადაწყვეტილების გასამართლებელი მიზეზების ძიება.

ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩემს გათავისუფლებაში მინისტრის პირად დაინტერესებას და მოკვლევის მიკერძოებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუკერძოებელი და ობიექტური შესწავლის მიზნით, ვთხოვ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ საკითხით დაინტერესებას და მზადყოფნას გამოვთქვამ, სრული ინფორმაცია მივაწოდო შესაბამის მიუკერძოებელ სტრუქტურებს, როგორც კონკრეტულად 15 მაისის სეტყვის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მთელი სისტემის შექმნასა და ოპერირებასთან დაკავშირებით.

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი „დელტას“ ყოფილ ხელმძღვანელ უჩა ძოძუაშვილს თანამდებობაზე არ დააბრუნებს. შესაბამისი განცხადება თინა ხიდაშელმა მედიასთან შეხვედრაზე გააკეთა.

მისივე განმარტებით, „დელტას“ ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.

– მოკვლევა დასრულდა. პირველადი შედეგები სახეზეა და ჩვენ უახლოეს პერიოდში გამოვაცხადებთ კონკურსს ამ თანამდებობაზე, უჩა ძოძუაშვილი არ დაბრუნდება, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ კაპანაძე: „პროფესიული ჯარის შენახვა უფრო იაფია, ვიდრე წვევამდელის“

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს.



მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ჰაერიდან არ არის მოტანილი. კაპანაძე იმ არგუმენტებს პასუხობს, რომლებიც ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეებს აქვთ.

**ვახტანგ კაპანაძე:**

– ძირითადი არგუმენტი, რომელიც პროფესიული ჯარის მოწინააღმდეგეებს აქვთ, არის ის, რომ პროფესიული ჯარი სწყდება საზოგადოებას და ხდება ერთგვარი სამხედრო კასტა, მეორე არგუმენტი არის რომ პროფესიული ჯარისკაცის შენახვა სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე წვევამდელის. ჩვენი კონცეფცია არის, რომ არ უნდა მოხდეს წყვეტა საზოგადოებასა და ჯარს შორის და რეზერვი შეავსებს ამ ნიშას. რაც შეეხება ფინანსებს, ეს უნდა განვიხილოთ გრძელვადიან პერიოდში. პროფესიული ჯარის შენახვა უფრო იაფია, ვიდრე წვევამდელის.

თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ წვევამდელი ჯარისკაცი ისევე უნდა მომზადდეს, როგორც პროფესიონალი ჯარისკაცი, ელემენტარულად, ეს დამატებით თანხებს ითხოვს. ამავე დროს ცუდ ჯარისკაცს და კარგ ჯარისკაცს აქვთ ერთნაირი კვება, სჭირდებათ აღჭურვილობა, ტრანსპორტირება. ამავე დროს წვევამდელს ვერ წაიყვან საერთაშორისო ოპერაციებში.

ჩვენ ჰაერიდან არ მოგვიტანია ეს გადაწყვეტილება, საკმაოდ დიდხანს იყო დისკუსია. ასევე ჰაერიდან არ არის მოტანილი რიცხვები და გათვლილია ყველა ხარჯი, რაც სჭირდება ჯარისკაცს თავის საქმიანობაში. ამის დაჯამების შედეგად არის მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სწორია.

მისივე თქმით, წვევამდელების შემთხვევაში ქვეყანას აკლდება სამუშაო ძალა, გადასახადის გადამხდელი და ამავე დროს აქვს ხარჯი მის შენახვაში. რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რატომ არ იცოდა ეს დეტალები თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა, კაპანაძის თქმით, ეს კითხვები მას არ უნდა დაუსვან.

თავდაცვის სამინისტრო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევას აღარ განახორციელებს. შესაბამის ბრძანებას თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ხელი მედიასთან შეხვედრაზე გუშინ მოაწერა.

როგორც ხიდაშელმა განმარტა, ბრძანების შესაბამისად თავდაცვის სამინისტრო სამხედრო-სავალდებულო გაწვევას არ განახორციელებს.

როგორც მან აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ თავდაცვის შემდგომი მინისტრი სამხედრო სავალდებულო სამსახურის აღდგენას გადაწყვეტს, მას მისი ამ ბრძანების გაუქმება მოუწევს.

თავდაცვის სამინისტროს გარდა, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევას სხვა უწყებებიც ახორციელებენ, თუმცა ხიდაშელის ბრძანება მათ არ ეხებათ.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „პოპულარულია, როცა მშობლებს ეუბნები: თქვენს ბავშვებს ჯარში არ წაიყვან“



– ვიყოთ ერთმანეთის მიმართ სამართლიანები – თუკი თინა ხიდაშელი პოლიტიკაში წასვლას აპირებს და არ აპირებს პარტიული თემებიდან გვერდზე გადგომას, მაშინ მან გულწრფელად უნდა თქვას და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ არა – გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი მიიღებს, – აღნიშნულ განცხადებას ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი აკეთებს. ვოლსკის შეფასებით, ხიდაშელი პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას აპირებს, რისი ნიშანიც სამხედრო სამსახურში სავალდებულო გაწვევის შეჩერების შესახებ ბრძანებაზე ხელმოწერა და მის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის აზრით, თავდაცვის მინისტრს თავისუფლად შეეძლო ბრძანება გამოეცა და სამხედრო გაწვევა რაღაც ეტაპზე გადაედო ან შეემცირებინა, მაგრამ, „თუკი საკითხის მიმართ დამოკიდებულებას კონცეპტუალურად ცვლის, მაშინ ეს სხვა ფორმატშია განსახილველი“.

**გია ვოლსკი:**

– დიდი შანსია, თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდებოდეს. იქ ლევან ბერძენიშვილი ჩაერთო, თავისი განცხადებებით. პოპულარულია, როცა მშობლებს და ოჯახებს ეუბნები: თქვენს ბავშვებს არ წავიყვან ჯარში. ამავე დროს არის სახელმწიფოს ინტერესი, არის თემები, რომელიც გაცილებით მოქნილად შეიძლება მოგვარდეს, ვიდრე ამ განხილვებში ნატოს და დასავლეთის კონცეფციის თემის შემოტანაა. ეს არასწორია.

არსებობს საპარლამენტო კომიტეტი, სამთავრობო ფორმატი, სადაც საკითხი უნდა იყოს განხილული. უმაღლესი მთავარსარდალიც საქმის კურსში უნდა იყოს, – ამბობს თავდაცვის მინისტრის მიერ გამოცემულ ბრძანებაზე გია ვოლსკი. მისივე თქმით, პროფესიული ჯარის ჩამოყალიბება არის საქართველოს მისწრაფება, თუმცა ნატო-ს ქვეყნებიდან მხოლოდ კანადას, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს გააჩნია სრულად კონტრაქტორთა ჯარი. როგორც ვოლსკი აცხადებს, „აბსურდია იმაზე საუბარი, თითქოს ნატოს სტანდარტი მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტორებს ითვალისწინებს“.

– ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ შეუთანხმებელი გადაწყვეტილებები არ არის სწორი და ეს საქართველოს ინტერესებს არ პასუხობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. შეიძლება პრემიერმა თქვას, რომ თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება მოსწონს, არ უნდა წვევამდელები ჯარში და ეთანხმება მას, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პოლიტიკური ეთიკა დარღვეულია, – აღნიშნა ვოლსკიმ.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა გოგოლაშვილი: „საქართველოში სამხედრო–სავალდებულო სამსახურის გაუქმება ნაადრევია“

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ხელმძღვანელ კახა გოგოლაშვილის აზრით, საქართველოში სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გაუქმება ნაადრევია. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ვიდრე ქვეყანას არ ეყოლება ისეთი პროფესიული არმია, რომელიც მას ყველა მიმართულებიდან წამოსული საფრთხისგან დაიცავს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმება ნაადრევია. მისივე თქმით, ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი რეზერვის სერიოზული სამსახური შეიქმნება.

– აუცილებელია, ყველა მამაკაცმა გაიაროს სამხედრო მომზადება და იყოს მზად, დაიცვას ქვეყანა. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და აუცილებელია ქვეყნის დაცვაში მონაწილეობა ყველას შეეძლოს, – მიიჩნევს კახა გოგოლაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# მანანა კობახიძე: „თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის“



– შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო გაწვევის შეჩერების თაობაზე თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის – მას მთავრობის თანხმობაც სჭირდება, – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია პროცესში პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს ჩართვაც.

კობახიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის რეფორმა მხოლოდ თავდაცვის უწყებას არ ეხება და ის კავშირშია სხვა სამინისტროებთან.

**მანანა კობახიძე:**

– შესაძლებელია, თავდაცვის უწყებას კონკრეტულად თავდაცვის სამინისტროს მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, თუმცა სამხედრო სავალდებულო სამსახური ეხება არა მხოლოდ თავდაცვის უწყების სისტემას, არამედ აქ არის ჩართული სასჯელაღსრულების სისტემა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაცვის სპეციალური სამსახური, დაცვის პოლიცია. გამომდინარე აქედან, საჭიროა მთავრობის ჩართვა, სხვა შესაბამისი სამინისტროების ჩართვა და პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლისა და უშიშროების საბჭოს ჩართვა. გადაწყვეტილება უფრო ფართოდ უნდა იყოს მიღებული და არა ერთი მინისტრის დონეზე.

# მანუჩარ მაჩაიძე: „კენჭს ან საბურთალოზე ვიყრი, ან თემქაზე“

## „მოვიდა დრო, რომ ხალხმა კოსმოპოლიტები კი არა, პატრიოტები აირჩიოს“

მარიამ მჭედლიშვილი

მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც ცოტა ხნის წინ საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან გამოვიდა, ჯერჯერობით სხვა პარტიაში არ გაწევრიანებულა. შესაძლოა, ის სხვა პარტიაში არც შევიდეს და მაჟორიტარად კენჭი დამოუკიდებლად იყაროს. „ახალი თაობა“ მანუჩარ მაჩაიძეს ესაუბრა.

**მანუჩარ მაჩაიძე:**

– არჩევნებში ნებისმიერ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას. მგონია, რომ ეს არჩევნები მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ამომრჩეველმა ახლა მაინც სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

ბოლო წლებში სულ კოსმოპოლიტები, ან ეროვნულობის მანტიით დაფარული ანტისახელმწიფოებრივი ძალები მოდიოდნენ ქვეყნის სათავეში. სააკაშვილის პარტიას კარგი სახელი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჰქვია, მაგრამ ამ პარტიამ უამრავი დანაშაული ჩაიდინა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშე. თავის დროზე, ნაციონალები რომ მოდიოდნენ ხელისუფლებაში, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობდა, ახლა კი გვეშველაო, მაგრამ შველის ნაცვლად, ამ ძალამ ადამიანებს სული ამოხადა.

***– ახლა აქცენტი კეთდება პოლიტიკური ველის სრულ განახლებაზე, ახალ სახეებზე.***

– ახალი სახეები პოლიტიკაშიო, რომ გაიძახიან, განახლებული ფეხბურთის გუნდია? რა, პოლიტიკოსები აღარ უნდა დარჩნენ პოლიტიკაში? ყველაფერს გამოცდილება უნდა. პოლიტიკოსებში არიან ქვეყნის გულშემატკივარი პატიოსანი ადამიანებიც. გამოცდილ პოლიტიკოსს ხალხიც იცნობს, მისი წარსული ცნობილია. სრულიად ახალი და გამოუცდელი არაერთი გვინახავს. მათ ფულიც დაუხარჯავთ, საკუთარი ჟურნალისტებიც ჰყოლიათ, მაგრამ მალევე გამქრალან არენიდან.

საქართველოში ზოგიერთისთვის სიტყვები „პატრიოტი“ და „ეროვნული“ დასაცინი გახდა. არადა, პატრიოტიზმი ყველა სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი ამის დადასტურებაა. გულშემატკივრებს საკუთარი ქვეყნის სიმბოლოების გამომხატველი მაისურები აცვიათ. ისინი საკუთარი ქვეყნის სპორტსმენებს გულშემატკივრობენ. ჩვენში პატრიოტიზმის დისკრედიტაციას ახდენენ. ვფიქრობ, რომ არჩევნებზე ხალხი მაინც პატრიოტულ და ეროვნულ ადამიანებს დაუჭერს მხარს და არა იმათ, ვინც საკუთარ ერს ებრძოდა და გენოციდს უწყობდა.

გარკვეული წვლილი ქვეყნის განვითარებაში მეც მინდა შევიტანო.

***– ამისთვის რომელიმე სხვა პარტიაში ხომ არ გაწევრიანებულხართ?***

– ჯერჯერობით, არა. პატრიოტული პარტიები ნამდვილად არიან. გაერთიანება ორმხრივი პროცესია. მეც უნდა მქონდეს ჩემი დამოკიდებულება ამა თუ იმ პარტიის მიმართ, მეორე მხარესაც უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა ჩემ მიმართ. ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს უნდა დაემთხვეს.



***– საბურთალოზე იყრით კენჭს?***

– ორ ვარიანტს განვიხილავ. ან საბურთალოზე, სადაც ვცხოვრობ, ან – თემქაზე, ნაძალადევის რაიონში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. თუ არავისთან გავერთიანდი, დამოუკიდებლად მივიღებ მონაწილეობას.

***– შეძლებს ხელისუფლება თავიდან აიცილოს დაანონსებული არეულობა არჩევნების შემდეგ?***

– უნდა შეძლოს. ვინც კითხვა იცის, მოსმენის უნარი აქვს, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ნაციონალური მოძრაობა არეულობას და რევოლუციას გეგმავს. ამის შესახებ ისინი მუდმივად ლაპარაკობენ. თუ სახელმწიფო ვართ და არა – ბანანის რესპუბლიკა, ხელისუფლებამ ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს. თუ ხელისუფლება დესტრუქციულ ძალებს არეულობის მოწყობის უფლებას მისცემს, ეს იქნება დიდი დანაშაული ერის წინაშე.

***– „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში 90-დან 95 მანდატამდე აღებას აპირებს.***

– „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ჩემი ვარაუდით, ის დაახლოებით 60 მანდატს აიღებს. 100%-ით მაჟორიტარების გაყვანას ვერც „ქართული ოცნება“ მოახერხებს. პარლამენტში კიდევ რამდენიმე პარტია მოხვდება.

***– ამ დღეებში ისევ აქტუალური გახდა რესპუბლიკური პარტია.***

– ამ პარტიის იდეოლოგიას აგრესიულ ლიბერალიზმს ვუწოდებდი. ამ იდეოლოგიას არ ვეთანხმები. რესპუბლიკელებში არიან ერუდირებული პოლიტიკოსები, მათ შორის, კარგი ორატორები. ალბათ ქვეყანას ისინი თავისებურად ემსახურებიან. დემოკრატიულ სახელმწიფოში ორატორობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ორატორობა და კარგი მეტყველება შთამბეჭდავია, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ პოლიტიკოსი სიმართლეს ლაპარაკობდეს. იმედი მაქვს, ხალხი აირჩევს სიმართლის მთქმელ პატრიოტებს.

# საქართველოს კალათბურთის ფედერაციის უშედეგოდ გადახდილი მილიონები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ყოფილი მინისტრის, ლევან ყიფიანის დროს, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციას (GBF), „ფონდ 5+11“ და „სასკო ბასკონია S.A.D“ შორის 2014 წლის 27 სექტემბერს 5 წლიანი ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. კონტრაქტის მიხედვით, ესპანელ მწვრთნელებს კალათბურთის ეროვნული ნაკრებისთვის 16-დან 20 წლამდე მოთამაშეები უნდა მოემზადებინათ. საქართველოს ბიუჯეტს პროექტის განხორციელება 2.500.000 ევრო უჯდება.

ხელშეკრულება საკმაოდ ბევრ კითხვას აჩენს. ხელშეკრულების მიხედვით, GBF „სასკო ბასკონია S.A.D“ -ს ყოველ სპორტულ სეზონზე 500, 000.00 ევროსურიცხავს. 2 სეზონის ფული ფედერაციას უკვე გადახდილი აქვს, შედეგი კი ჯერჯერობით არაფერი.

თანხის გადარიცხვა, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, 2 წელია დაიწყო და ესპანურმა კლუბმა საქართველოს ბიუჯეტიდან უკვე მიიღო მილიონობით ლარი. ქართული მხარე პირობას ასრულებს, თანხას იხდის, სამაგიეროდ კი, ჯერჯერობით ხელშესახები არაფერი მიუღია.



**ბიუჯეტის 2 მილიონ 500 ათასი ლარი უცხოურ კლუბს, ჯერჯერობით, არაფრის სანაცვლოდ**

საეჭვო გარიგებაში ბევრი საეჭვო დეტალი იკვეთება – მიუხედავად იმისა, რომ მინისტრისთვის წარდგენილი ანალიზის მიხედვით ერთერთი კალათბურთელი, ლუკა ბულიაშვილი გრანტიორთა სიაშია ჩასმული, აღმოჩნდა, რომ ლუკა ბულიაშვილის მამამ ლევან ბულიაშვილმა „სასკო ბასკონიას“ 17.000 ევრო გადაუხადა. გრანტის ფარგლებში სიაში აღმოჩენილი კალათბურთელები მომზადების თანხებს თავად იხდიან.

კალათბურთის ფედერაციის ანგარიშის მიხედვით, ლუკა ბულიაშვილის მომზადების თანხა პროექტის ფარგლებში ფინანსდება, კალათბურთელის მამა კი აცხადებს, რომ შვილის ვარჯიშის, მგზავრობის, ცხოვრების, კვების და ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი ოჯახმა დაფარა. ოჯახს ხარჯების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი გააჩნია. **ლევან ბულიაშვილი აცხადებს, რომ აპირებს ბრძოლას და მისი მიზანია ყველა დამნაშავე დაისაჯოს.**

ლევან ბულიაშვილი ასახელებს პიროვნებებს, ვინც გარიგებაში იყო ჩართული. კალათბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნები და უცხოური კლუბის წარმომადგენლები მასთან არაფორმალურ გარიგებებს ახორციელებდნენ. კალათბურთელის მამა აცხადებს, რომ შეთანხმებები შეიცვალა და საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა, რომლის შესახებაც აქამდე არ იცოდა.

„რამდენიმე ხნის წინ სპორტულ გამოცემა „ვორდ სპორტში“ წავიკითხე ფედერაციის გენერალური მდივნის ქართველიშვილის ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ კალათბურთის ფედერაციის ხარჯებით ლუკა ბულაშვილი და თოკო შენგელია წავიდაო. მერე კახა შენგელიამ გაახმოვანა ფედერაციასა და „სასკო ბასკონიას“ შორის დადებული ხელშეკრულება. მაშინ დავეჭვდი.

ამის შემდეგ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და ქართველიშვილმა დამიძახეს. კაბინეტში ვისაუბრეთ, მითხრეს, ვიცით, რომ შენ გადაიხადე თანხაო.

ხელშეკრულებაში თან ისეთი პირობა დევს, რომ... შეიძლება ჩემი შვილი NBA-ში წავიდეს, იქ მილიონებზეა ლაპარაკი, ან სხვა კლუბში გადავიდეს. ყველაფერი მე გავაკეთე, არავინ დამხმარებიხართ და 50% რომ წერთ, ამის ტრანსფერი ფედერაციას ერიცხება, რა უფლებით იღებ, რამე წვლილი მიგიძღვით ან სადმე ჩემი ხელმოწერა არ უნდა იყოს, რომ ჩემი შვილის თანხას იღებთ-მეთქი?

მე მიხეილ გაბრიჩიძეს, გიორგი ქართველიშვილს, ბიჭიაშვილს და სხვებს, საკმაოდ ბევრი ისხდნენ კაბინეტში, ვკითხე, რამე შეხება ხომ არ აქვს ჩემს შვილს კემპთან და სახელმწიფო პროგრამასთან, რითიც დაფინანსდნენ კალათბურთელები, ისე არ გამოვიდეს ჩემს შვილს ამ დაფინანსებასთან რამე შეხება ჰქონდა, თორემ ამას ცუდო ამბავი მოყვება-თქო“, – აცხადებს ლევან ბულიაშვილი საინფორმაციო სააგენტო „აიპრესთან“ საუბრისას.

კალათბურთის ფედერაციამ ამჟამინდელ მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილს პროექტის მიმდინარეობის ანალიზი გაუგზავნა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ ეტაპზე გრანტის მქონე მოთამაშეებიდან 9 უცხოელია და სამი ქართველი. ქართველებს შორის არის ლუკა ბულიაშვილიც.

ანალიზის გრაფაში: **„მოთამაშეები რომლებსაც აქვთ გრანტი ჩვენი ხელშეკრულებით“** სიტყვასიტყვით ვკითხულობთ:

დანიელ ბორდინინო, კარლოს მარტინესი, ტადას ხედერკაკისი, რინალდს მალმანისი, პილლიპ პრეტრუსევი, ჯურიჯ მაკურა, არტურ კურუჩი, დავიდ პეტრუსევი, დევონ ვან ოსტრუმი;

ქართველი მოთამაშეები ჩვენი ხელშეკრულებით: **ლუკა ბულაშვილი,** გიორგი ტურძელაძე, ნიკა დარბაიძე.

კონტრაქტის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ქართველი მწვრთნელების გადამზადება. ეს დეტალი ხელშეკრულების პირობებში ჩანს, შესრულების ანგარიშში კი არა. იკვეთება, რომ კალათბურთის ფედერაცია პირობას ასრულებს, თანხას ეტაპობრივად იხდის, საქმე კი არ კეთდება. ხელშეკრულების მიხედვით, თუ უცხოური კლუბი პირობებს ვერ შეასრულებს, გადახდილი თანხის ნაწილს დააბრუნებს, ოღონდ 2024 წელს.

რატომ დათანხმდა კალათბურთის ფედერაცია ამგვარ პირობებს? რატომ არ ხორციელდება უცხოელი პარტნიორების მიერ პირობების შესრულების მონიტორინგი? რატომ აღმოჩნდა, რომ გრანტით დაფინანსებული კალათბურთელის მომზადების ხარჯებს მშობლები ფარავენ? რატომ არ მომზადდა ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ქართველი კალათბურთელი? როდის მოვთხოვთ პარტნიორ კლუბს პირობების შესრულებას? რას მოხმარდა მილიონები, რომელიც საქართველოს ბიუჯეტმა უკვე გადაიხადა? – ამ კითხვებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ კონკრეტული პასუხები უნდა გასცეს.

# რატომ ხვდებიან კარასინი და აბაშიძე ერთმანეთს

**რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია 27 ივნისს პრაღაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის გამართული შეხვედრის პერსპექტივები (ავტორი – იური როქსი).**

ამას წინათ გამართული ჟენევის კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით, როცა მოლაპარაკების დროს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები ვერ იქნა მიღწეული, პრაღის შეხვედრაც, ალბათ, რაიმე წინსვლის მომასწავებელი არ უნდა ყოფილიყო.

თუმცა მოგვიანებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის პრაღაში გამართული შეხვედრის შედეგების თაობაზე. „ერთობლივი ძალისხმევით მხარეებმა შეძლეს შეთანხმების მიღწევა იმ მოქალაქეების გათავისუფლების შესახებ, რომლებიც ორივე სახელმწიფოს საპატიმროებში იმყოფებიან... გარდა ამისა, მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა, განაგრძონ პრაგმატული კურსი ორმხრივი ურთიერთობების ეტაპობრივი ნორმალიზების მიზნით“, – ნათქვამია რუსული დიპლომატიური უწყების მიერ გავრცელებულ მასალაში, თუმცა იქვე გამოთქმულია გარკვეული საყვედურებიც მოსკოვის მხრიდან:

„ამასთან, მოლაპარაკების დროს რუსულმა მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მხრიდან რუსეთის მიმართ არამეგობრული რიტორიკა გაისმის, რაც ეწინააღმდეგება ორივე მხარისთვის სასარგებლო პროცესის ნორმალურ წარმართვას“.

„მოლაპარაკების დროს გაგრძელდა მხარეთა კონსტრუქციული დიალოგი კონკრეტული მიმართულებებით, ანუ იმ სფეროებში, სადაც დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში პროგრესი შესაძლებელია – ვაჭრობის, ტრანსპორტის, ჰუმანიტარული კონტაქტების სფეროში. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საქართველო-რუსეთს შორის დაფიქსირდა ორმხრივი საქონელბრუნვის ზრდა. ეს იმას მოწმობს, რომ რუსეთი კვლავ რჩება საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად (მეორე ადგილზე) და მთავარ ბაზრად ქართული ღვინის პროდუქციისათვის. არის პერსპექტივა, რომ ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატების წარმომადგენელთა დაგეგმილი შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებს მოსკოვ-თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობას“. მხარეებმა ასევე აღნიშნეს მნიშვნელოვანი მიღწევები ტრანსპორტის სფეროში: მატულობს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადატანის ტემპები. ვითარდება კონტაქტები რუსეთისა და საქართველოს სატრანსპორტო კომპანიებს შორის, – აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მასალაში.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# აშშ-ის სენატში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერას ითხოვენ



ნატოს ვარშავის სამიტი – ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტია „ცივი ომის დასრულების შემდეგ. სამიტის გადაწყვეტილებები რუსეთის აგრესიულობის შეკავების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს და იმავდროულად სიგნალი უნდა იყოს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის, ნატოსთან მათი ურთიერთობის პერსპექტივის ნიშნად.

აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გაიმართა მოსმენები ნატოს ვარშავის სამიტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მოსმენებში მონაწილეობდნენ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტები – დერეკ შოლეი, ჯორჯ მარშალის ფონდის გერმანული ფილიალის უფროსი მრჩეველი და იან ბჟეზინსკი, აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს თანამშრომელი (ზბიგნევ ბჟეზინსკის შვილი).

მოსმენების დროს იან ბჟეზინსკიმ ჩამოთვალა ნატოს წინაშე მდგარი გამოწვევები და მათ შორის ყველაზე მთავარი – „რუსეთის აგრესიული ქმედება და მისი აღკვეთა“. პოლიტოლოგის თქმით, რუსეთი, მისი პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სახით, მეზობლებს აგრესიულად ექცევა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიული სივრცის აღდგენა სურს, რაც დაუშვებელია. მოსკოვის მოქმედებით ევროპაში „რუხი ზონა“ შეიქმნა, – განაცხადა იან ბჟეზინსკიმ. კიდევ ერთ გამოწვევად შეფასდა ტერორიზმის საფრთხე ნატოს ქვეყნებში, რომელიც ალიანსს „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან ემუქრება.

მოსმენების დროს ითქვა, რომ ნატოს ლიდერებმა ვარშავის სამიტზე მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოსა და უკრაინის ტრანსატლანტიკურ ამბიციებს. „და ამაში მათი ნატოში გაწევრიანებაც იგულისხმება“, – განაცხადა იან ბჟეზინსკიმ. მას დაეთანხმა ექსპერტი დერეკ შოლეიც, რომლის აზრით, ნატომ საქართველო და უკრაინა ყველა სამხედრო ინიციატივებში უნდა ჩართოს, რომელიც შავი ზღვის რეგიონისთვის იქნება შემუშავებული.

ამასთან, მოსმენების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ნატო ანტირუსული ალიანსი არ არის. იან ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ არც ერთი შეთავაზებული ღონისძიება რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას არ ემუქრება, თუმცა, ბუნებრივია, ხელს შეუშლის მოსკოვის სამხედრო ზრახვების რეალიზებას და რუსეთისათვის საზიანო იმ რისკებს გააფართოვებს, რაც უკრაინის მიმართ აგრესიის უკავშირდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც ექსპერტებმა კანონმდებლებს რეკომენდაცია მისცეს, ეს გახლავთ ნატოს „ღია კარის პოლიტიკის“ დადასტურება. „მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავების გზების ძიება, აგრეთვე, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ჩავრთოთ უკრაინის დასახმარებლად მიმართულ ღონისძიებებში – უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში რეფორმების გატარების მიზნით“, – განაცხადა დერეკ შოლეიმ.

**ნიუსპრესი**

# თავდასხმა გერმანიის პრეზიდენტზე



ქალაქ ზეიდნიცში (საქსონია) გერმანიის პრეზიდენტი იოაჰიმ გაუკი ჩავიდა. ადგილობრივმა ნეონაცისტებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ის არ იყო მრავალრიცხოვანი, მონაწილეობდა სულ 200 ადამიანი, მაგრამ მანიფესტანტები საოცრად აგრესიულად იქცეოდნენ. გაუკის მიმართ ლანძღვა-გინების მთელი კორიანტელი წამოვიდა. მას უწოდებდნენ ღორს, არამზადას, სამშობლოს მოღალატეს და ა.შ.

ერთ-ერთმა მანიფესტანტმა გერმანიის პრეზიდენტს მძიმე საგანი ესროლა.

ამის შემდეგ პოლიციამ რეზინის ხელჯოხები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. მანიფესტანტები დაშალეს. პიროვნება, რომელმაც პრეზიდენტს მძიმე საგანი ესროლა, დააკავეს.

ის ერთ-ერთი ნეოფაშისტური ორგანიზაციის წევრია.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ტრამპი: „ჩინეთი რუსეთზე მეტ პრობლემას შეგვიქმნის“



აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის რეფერენდუმი პოზიტიური მოვლენაა.

– დიდმა ბრიტანეთმა პროტესტი გამოთქვა ევრობიუროკრატიისა და ფსევდო ლიბერალური ფასეულობებისადმი, რომელთაც ევროპაში ნერგავენ, – თქვა ტრამპმა.

მილიარდერმა სინანულით აღნიშნა, რომ ბრიტანული რეფერენდუმი რუსეთის გაძლიერებას არ მოასწავებს და ამაში უკრაინელები დაადანაშაულა.

– უკრაინა რომ ევრაზიული კავშირის წევრი გამხდარიყო, პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენა აღდგებოდა. შედეგად რუსეთს, აშშ-სა და ჩინეთს შორის ბალანსი შენარჩუნდებოდა. რაკი უკრაინა ევრაზიული კავშირის წევრი არ გახდა, ხოლო დონბასის ომმა და სანქციებმა რუსეთის ეკონომიკა დაასუსტა, რუსეთის გავლენის აღდგენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე აღარ მოხდება, რაც ცუდია, – დაასკვნა ტრამპმა.

მისი აზრით, რუსეთის დასუსტებით იქმნება ვაკუუმი, რომელსაც ჩინეთი შეავსებს, ეს კი ამერიკას კარგს არაფერს მოუტანს. აშშ-ს მზარდი ეკონომიკის მქონე და კბილებამდე შეიარაღებულ ჩინეთთან გამკლავება გაუჭირდება.

– პუტინთან ლაპარაკი შეიძლება, ჩინეთთან კი ურთიერთობა გაცილებით ძნელი იქნება. ჩინეთი უფრო სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის, ვიდრე რუსეთი, – განაცხადა ტრამპმა.

# ერდოღანს რუსებისთვის ბოდიში არ მოუხდია?



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა უარყო დასავლური მედიით გავრცელებული ინფორმაცია, რომ მან რუსეთს ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო ბოდიში მოუხადა.

– უბრალოდ, დაღუპულის ოჯახს სამძიმარი გამოვუცხადე და გამოვთქვი სურვილი, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობები აღდგეს, – თქვა ერდოღანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მარსელ ვან-ჰერპენი: „მოსკოვს ბელორუსის, უკრაინისა და საქართველოს ხელში ჩაგდება სურს“



პოლონურ გაზეთ „Dzennik Opini“– ში გამოქვეყნებულია ინტერვიუ მარსელ ვან-ჰერპენთან, რომელიც ჰოლანდიის ანალიტიკური ცენტრის Cicero Foundation-ის ხელმძღვანელი გახლავთ. იგი იკვლევს თანამედროვე რუსეთის პრობლემებს და ევროპული ინტეგრაციის საკითხებს. პოლიტოლოგს ჟურნალისტი მიხეილ სუტოვსკი ესაუბრება. მარსელ ვან-ჰერპენი ინტერვიუში ეხება რუს და დასავლელ პოლიტიკოსებს, მათ როლს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

შეკითხვაზე, მართლაც არის თუ არა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი, როგორც მასზე ამბობენ, რუსული „მართვადი დემოკრატიის“ ავტორ-იდეოლოგი და მისი გამტარებელი, მარსელ ვან-ჰერპენი პასუხობს:

– პირადულად იგი აბსოლუტური ცინიკოსია, მან ვლადიმირ პუტინს „ციდან მოვლენილი ადამიანი და რუსეთის გადამრჩენელი“ უწოდა, რომლის მისია რუსეთის დიდების აღდგენაა, ანუ გამოდის, რომ მოსკოვმა კვლავ ხელში უნდა ჩაიგდოს ბელორუსია, უკრაინა, საქართველო და სომხეთი. აზერბაიჯანზე შეიძლება უარი ითქვას, რადგან ეს ქვეყანა მუსულმანური სახელმწიფოა, სამაგიეროდ არის ქრისტიანული მოლდოვა და ბალტიის ქვეყნები, რომლებიც რუსეთისაგან კალინინგრადის ოლქს „ჭრიან“. სხვათა შორის, სანამ თურქეთის რუსეთის თვითმფრინავს ჩამოაგდებდა, გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკოლაი პატრუშევის სტატია, რომელშიც იგი წერდა, რომ თუ თურქეთი რუსეთთან კონფლიქტში ჩაებმებოდა, მაშინ მოსკოვი შურს იძიებდა და ლიტვალატვია-ესტონეთს წაიღებდა: „ბალტიისპირეთი კვლავ ჩვენი გახდებაო“. ყურადღება მივაქციოთ, რომ ნიკოლაი პატრუშევმა საბჭოური ტერმინი – „ბალტიისპირეთი“ გამოიყენა. მართალია, დასავლეთში მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ნიკოლაი პატრუშევის ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ რუსები, უბრალოდ, ეძებენ ცასუს ბელლი-ს („ომის მიზეზს“) და თუ მოისურვებენ, კიდეც იპოვიან.

***– სამწუხაროდ, როგორც ჩანს, გერმანელები და ფრანგები კლაიპედას ნავსადგურისათვის (ლიტვის პორტი ბალტიის ზღვაზე) მაინცდამაინც თავს არ მოიკლავენ...***

– ფრანსუა ოლანდი საკმაოდ რბილი პოლიტიკოსია, ამიტომ მე მისგან არ მოველოდი რუსეთთან იმ კრიტიკულ დამოკიდებულებას, რომელიც მან „მისტრალთან“ დაკავშირებით გამოავლინა (მართალია, აშშ-ის ზეწოლით, მაგრამ მაინც), თუმცა საბოლოო ჯამში მან მზერა მაინც რუსეთისაკენ მიმართა და თავის მრჩევლად რუსეთის საკითხებში ფრანსუა მიტერანის მთავრობის ექს-მინისტრი ჟან-პიერ შევენმანი დანიშნა, რომელიც ძალიან პროპუტინურადაა განწყობილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სირიისა და საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის კონტექსტი: ფრანგები თვლიან, რომ რუსეთთან მოლაპარაკებაა საჭირო.

***– ვთქვათ და ფრანსუა ოლანდმა საპრეზიდენტო არჩევნები წააგო, მერე რა იქნება?***

– გააჩნია, ვისთან წააგებს. თუ ნიკოლა სარკოზისთან, რომელიც ფრანსუა ოლანდის პოტენციურ მემკვიდრედ ითვლება, მაშინ ეს სერიოზული პრობლემა გახდება. ნიკოლა დიდი ხანია პროპუტინურ პოზიციაზე დგას. ჯერ ვფიქრობდი, რომ იგი ვლადიმერ პუტინმა საქართველოსთან ომის დროს მოხიბლა (2008 წლის აგვისტოში), როცა მას „მომლაპარაკებლის“ როლის შესრულების უფლება მისცა (რა თქმა უნდა, რუსეთის პირობებით), თუმცა ბოლო დროს გამოსული კვლევების თანახმად ირკვევა, რომ ნიკოლა სარკოზის ცდუნება უფრო ადრე მომხდარა. დავაკვირდეთ მის ტრანსფორმაციას: ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საფრანგეთის პრეზიდენტი გახდებოდა, მას რუსეთში წასვლა სურდა, რათა პუტინისათვის პირდაპირ ეთქვა ჩეჩნეთისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ. მოგვიანებით, უკვე პრეზიდენტობის დროს, მისი მრჩეველი ანტიპუტინელი ანდრე გლუკსმანი გახდა. მაგრამ როცა 2007 წლის ივნისში „დიდი რვიანის“ სამიტი ჩატარდა და სარკოზიმ ვიწრო წრეში პუტინს „ჭკუის სწავლება“ დაუწყო, რუსმა პრეზიდენტმა უთხრა, რომ ჯობდა გაჩუმებულიყო: „რუსეთი საფრანგეთზე დიდია და თუ პარიზს მოსკოვთან საქმის დაჭერა სურს, ასეთი ტონით არ უნდა ისაუბროსო“. შემდეგ იყო უცნაური პრესკონფერენცია, სადაც ნიკოლა სარკოზი მთვრალივით იჯდა... ალბათ, სწორედ იმ დროიდან დაიკავა მან პროპუტინური პოზიცია, რაც დღემდე გრძელდება. ხომ გვახსოვს მისი განცხადება ყირიმის თაობაზე, რომ ეს ნახევარკუნძული ყოველთვის რუსეთს ეკუთვნოდაო... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნიკოლა სარკოზი, როგორც ჩანს, კვლავ გახდება საფრანგეთის პრეზიდენტი, მისი ეს განცხადება სკანდალურად გამოიყურება.

**ნიუსპრესი**

**სიახლე!!! მშენებელთა და მეტალოპლასტმასის საამქროს მფლობელთა საყურადღებოდ!**

ლიცენზირებული ფირმა გთავაზობთ მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ფუძის დაზიანებებისგან (მტვრევისგან) დამცავ მოთუთიებულ ლითონის გარსაცმს, რომელიც მარტივად მაგრდება ჩარჩოს ძირზე და იცავს მის პლასტმასის თხემს დ აბიჯებისას გარდაუვალი მსხვრევისგან.

1 ცალი (1-მეტრიანი) გარსაცმის ფასი – 12 ლარი, პარტიაში (50 ცალი და მეტი) – 10 ლარი.

**ტელ: 599-94-51-82**

**(იხ.ნიმუში გურამიშვილის 33, მ/პლასტმასის საამქრო).**

# განცხადებები

● ფირმა გთავაზობთ რემონტში მოქცეულ და დაზიანებულ მეტალოპლასტმასის ჩარჩოს ძირზე ლითონის გარსაცმის გადაკვრას, ჩარჩოს ბეტონიდან ამოუღებლად, მინიმალურ ფასად. ტელ: 599-94-51-82.

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**

**მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# მეფე მოკვდა, ისლანდია მოდის, დელ ბოსკე და ჰოჯსონი წავიდნენ

### იტალია-ესპანეთი 2:0

სენ დენი. სტად დე ფრანსი

1:0 კიელინი (33), 2:0 პელე (90)

**იტალია:** ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, ფლორენცი (დარმიანი 84), პაროლო, დე როსი (მოტა 53), ჯაკერინი, დე შილიო, ედერი (ინსინიე 82), პელე

**ესპანეთი:** დე ხეა, ხუანფრანი, რამოსი, პიკე, ალბა, ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ინიესტა, სილვა, მორატა (ვასკესი 70), ნოლიტო (ადურისი 46, პედრო 82))

მეფე მოკვდა – ევროპას ახალი მეფე ეყოლება. იტალიამ მოახერხა ის, რაც 2008 წლის შემდეგ ვერ შეძლო ვერავინ და ბებერ კონტინენტზე ესპანელთა 8-წლიანი ჰეგემონია დაამხო.

იტალიელები ძალიან სოლიდურად გამოიყურებიან დაცვაში, ხოლო ანტონიო კონტეს შერჩეული მექანიზმი თითქმის უშეცდომოდ თამაშობს. ამასთან, ისე ჩანს, რომ სკუადრა აძურა მთელი ძალებით არ გადიან მოედანზე. ყოველ შემთხვევაში, ესპანეთთან ასე ჩანდა და 70-80 პროცენტიც საკმარისი აღმოჩნდა ესპანელთა ტახტიდან ჩამოსაგდებად.

ბევრი შეცდა, რომ დელ ბოსკეს შეგირდები უპირობო ფავორიტებად მონათლა – იტალიამ ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს. დაცვა საიმედო, ნახევარდაცვა მობილური, თავდასხმა მიზანმიმართული. მეკარე ჯიჯი ბუფონის კი ესპანელებამდე საქმე არ ჰქონია, მათთან კი მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგა.

ძალიან საშიშია იტალია...

ესპანეთი კი თავის თავს არ ჰგავს – ვერც ერთი მნიშვნელოვანი მატჩი ტურნირზე ვერ მოიგო და ვისენტე დელ ბოსკეც იმსხვერპლა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჯანლუიჯი ბუფონი

რთული იყო ვინმეს გამორჩევა, ყველამ მაგრად ითამაშა. გმირი კი ბუფონია, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე პიკეს ურთულესი ბურთი აუღო და ანგარიში არ გაათანაბრებინა. არავინ იცის, რა მოხდებოდა დამატებით დროში.

**ვისენტე დელ ბოსკე:**

– პირველ ტაიმში ძალიან მორიდებულად ვთამაშობდით, ხოლო მეორეში უფრო მეტს ვრისკავდით და ანგარიშის გათანაბრებას ვცდილობდით, რაც ვერ მოვახერხეთ. იტალიელები უფრო ძლიერნი იყვნენ და მათ ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

**ანტონიო კონტე:**

– ყველაზე მეტად ფეხბურთელების საქმისადმი მიდგომა მახარებს. თვეზე მეტია ერთად ვართ და ამ ხნის განმავლობაში ტაქტიკაზე, ტექნიკასა და ხასიათზე ვმუშაობთ. ვცდილობთ ყველა მეტოქე გავაკვირვოთ და ჩემი აზრით, გარკვეულწილად ეს მოვახერხეთ.



### ინგლისი-ისლანდია 1:2

ნიცა. ალიანს რივიერა

1:0 რუნი (43), 1:1 სიგურდსონი (6), 1:2 სიგტორსონი (19)

**ინგლისი:** ჰარტი, როუზი, კეჰილი, სმოლინგი, უოკერი, ალი, რუნი (რაშფორდი 87), დაიერი (უილშირი 46), სტარიჯი, კეინი, სტერლინგი (ვარდი 60)

**ისლანდია:** ჰალდორსონი, საევარსონი, სკულასონი, რ.სიგურდსონი, არნასონი, გუდმუნდსონი, გუნარსონი, ბ.ბიარნასონი, გ.სიგურდსონი, ბოდვარსონი (ტრაუსტასონი, 88), სიგტორსონი (ე.ბიარნასონი, 77)

ჯგუფურ ეტაპზე ისლანდიურმა ზღაპარმა ბევრი გააოცა, ხოლო მერვედფინალური მატჩის შემდეგ ეს ზღაპარი გრძელდება.

არადა, ინგლისმა მატჩი ფავორიტის სტატუსით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე უეინ რუნის პენალტით დაწინაურდა. ისლანდიელებმა მომენტალურად გაათანაბრეს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლარს ლაგერბეკის გუნდს ყურების ჩამოყრა არ სჩვევია.

გამთანაბრებელი გოლის შემდეგ ისლანდია დაცვაში ჩაჯდა, მაგრამ მალევე ჯო ჰარტს მეორეც გაუტანეს და კიდევ უფრო გაამაგრეს საკუთარი კარის მისადგომები.

ინგლისელებს არაფერი გამოსდიოდათ, ეს უფრო მწვრთნელ როი ჰოჯსონს ეხება, რომელმაც შეცვლებით გუნდის შეტევითი პოტენციალი ვერ გააძლიერა. პირიქით, ინგლისის ნაკრებმა მუხტს თანდათან უკლო.

ისლანდიამ დაცვას გაუძლო, მეორე ტაიმში კი ინგლისელებზე მეტი ხიფათი შექმნა. ასეთ შედეგს და თამაშს არავინ ელოდა.

ისლანდია ისევ ზღაპარშია – ყველა დარჩენილი შედეგის მიუხედავად, ლაგერბეკი და კამპანია ქვეყანაში გმირებად დაბრუნდებიან.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რაგნარ სიგურდსონი

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა ისლანდიელთა მცველმა. გაიტანა ის გოლი, რომელმაც ისლანდიელებს ფსიქოლოგიური სტრესი მოუხსნა, დაცვაში საიმედო და უშეცდომო იყო.

**როი ჰოჯსონი:**

– ნაჩვენები შედეგითა და ტურნირიდან გავარდნით ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ჩვენ ისე შორს ვერ წავედით, რის შესაძლებლობაც გვქონდა და ჩემთვის ეს მიუღებელია.

**ლარს ლაგერბეკი:**

– ეს უდიდესი გამარჯვებაა, მაგრამ მწვრთნელის სამუშაო იოლი არაა. ამ ადგილზე რომ ვარ, დიდწილად როი ჰოჯსონისა და ბობ ჰატონის დამსახურებაა. მსურს მათ ჩემი პატივისცემა დავუდასტურო. მათგან ბევრი ვისწავლე. განვლილ მატჩში მთელმა გუნდმა საუცხოოდ ითამაშა. ჩვენ დაცვაშიც მართლაც კარგად ვმოქმედებდით. თითოეულმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ფეხბურთში მთავარია, რომ მომენტები რაც შეიძლება მეტ გოლად გარდაქმნა და გაიმარჯვო. ჩემმა გუნდმა აჩვენა, რომ ეს შეუძლია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

27 ივნისი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-იტალია | 0:2 |
| ინგლისი-ისლანდია | 1:2 |

ჩოგბურთი

უიმბლდონი

კაცები

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-უორდი | 6:0,7:6,6:4 |
| მანარინო-ედმუნდი | 6:2,7:5,6:4 |
| ბელუჩი -ბემელმანსი | 3:6,6:4,6:3,1:6,8:6 |
| კუერი-როსოლი | 6:7,6:7,6:4,6:3,12:10 |
| ერბერი-კოლშრაიბერი | 7:5,6:3,3:6,6:3 |
| ძუმჰური-კუდლა | 7:6,7:5,2:6,1:6,6:3 |
| მაუ-კლეინი | 7:6,6:4,6:4 |
| ფერერი-სერა | 6:2,6:1,6:1 |
| გოფენი– უორდი | 6:2,6:3,6:2 |
| როჟე-ვასელენი-გაბაშვილი | 1:6,6:3,6:4,6:4 |
| ალმაგრო-დუტრა სილვა | 6:3,7:6,5:7,3:6,6:3 |
| ისტომინი-ანდერსონი | 4:6,6:7,6:4,7:6,6:3 |
| სოკი-გულბისი | 6:4,6:4,6:4 |
| ჰაასე-შვარცმანი | 2:6,6:2,6:3,2:6,7:5 |
| სეპი-გარსია ლოპესი | 6:2,6:4,6:0 |
| რაიონიჩი-კარენო ბუსტა | 7:6,6:2,6:4 |
| ფედერერი-პეია | 7:6,7:6,6:3 |
| უილისი-ბერანკისი | 6:3,6:3,6:4 |
| ევანსი-შტრუფი | 6:3,6:7,7:6,7:5 |
| დოლგოპოლოვი-დონსკოი | 6:2,6:4,3:6,7:6 |
| შარდი-მონფილსი | 6:7,6:0,4:6,6:1,6:2 |
| ჯონსონი-ჟაზირი | 7:5,7:6,6:4 |
| დიმიტროვი-ფრატანჯელო | 6:3,6:4,6:2 |
| სიმონი-ტიპსარევიჩი | 4:6,6:4,7:5,6:3 |
| ჩილიჩი-ბეიკერი | 6:3,7:5,6:3 |
| სტახოვსკი-ნიშიოკა | 6:3,6:4,6:4 |
| ლაჩკო-ლორენცი | 6:4,6:7,7:5,6:3 |
| კარლოვიჩი-ჩორიჩი | 7:6,7:6,6:4 |
| კუზნეცოვი-კუევასი | 6:3,3:6,5:7,6:3,6:4 |
| ბენეტო-მარჩენკო | 6:4,6:2,7:6(8) |
| ნიშიკორი-გროტი | 6:4, 6:3, 7:5 |

ქალები

| | |
|---|---|
| ჰალეპი-შმიედლოვა | 6:4,6:1 |
| სკიავონე-სევასტოვა | 7:6,6:4 |
| ბარტელი-კოვინიჩი | 6:2,7:6 |
| ბერტენსი-ოსტაპენკო | 6:3,6:2 |
| ერანი-ტიგი | 6:4,6:4 |
| კორნე-ჰერცოგი | 6:3,6:0 |
| ფლიპკენსი-გიბსი | 6:3,6:1 |
| კისი-ზიგემუნდი | 6:3,6:1 |
| კ.პლიშკოვა-ვიკმაიერი | 6:2,0:6,8:6 |
| დოი-ჩირიკო | 6:1,6:2 |
| ფრიდზემი-დიასი | 6:4,6:0 |
| ალექსანდროვა-ივანოვიჩი | 6:2,7:5 |
| ვიტჰოფტი-ბეგუ | 6:1,6:4 |
| ნარა-ბრენგლი | 6:2,6:7,6:3 |
| ლეპჩენკო-პერეირა | 5:7,7:6,6:2 |
| კერბერი-რობსონი | 6:2,6:2 |
| ვ.უილიამსი-ვეკიჩი | 7:6,6:4 |
| საკარი-ჟენგი | 6:3,6:2 |
| არუაბარენა-გოვორცოვა | 6:2,1:6,8:6 |
| კასატკინა-დუვალი | 6:0,7:5 |
| იანკოვიჩი-ფოგელი | 6:2,6:2 |
| ერაკოვიჩი-ფალკონი | 4:6,6:3,10:8 |
| ალერტოვა -გასპარიანი | 6:3,6:0 |
| სუარეს ნავარო-ჟანგი | 6:3,4:6,6:4 |
| სტოსური-ლინეტი | 7:5,6:3 |
| ლისიცკი-როჯერსი | 6:1,6:3 |
| შვედოვა-გორგესი | 7:5,6:4 |
| სვიტოლინა-ბროუდი | 6:2,6:3 |
| საფაროვა-მატეკი | 6:7,7:6,7:5 |
| კროუფორდი-კანია | 7:5,6:3 |
| ჩეპელოვა-დუკე მარინო | 7:5,7:5 |
| მუგურუსა-ჯორჯი | 6:2,5:7,6:4 |

საზოგადოება

## ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა



ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ ჰაერის დაბინძურების კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის 2012 წლის მონაცემებითაც საქართველო მსოფლიო ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა.

კვლევაში განმარტებული არაა მიზეზები, თუ რატომ იკავებს საქართველო ამ მაჩვენებლით მოწინავე ადგილს, თუმცა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს კვლევაზე დაყრდნობით არსებობს რამდენიმე სტატია, სადაც ექსპერტებს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ვარაუდი აქვთ გამოთქმული.

ექსპერტთა ვარაუდით, საქართველო იმიტომაა ამ მაჩვენებლით მსოფლიო ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე, რომ საქართველოში ძალიან ბევრი მოძველებული ავტომანქანაა. ამასთან, მიზეზად დასახელებულია ისიც, რომ საქართველოში ჰაერის ხარისხის კონტროლი არ ხდება.

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, თამარ ბაგრატია აცხადებს, მსოფლიო ქვეყნებს შორის საქართველოში ჰაერი ყველაზე მეტად დაბინძურებული არაა.

მისივე თქმით, მთავარი მიზეზი, რატომაც თბილისში ჰაერის დაბინძურება ხდება, გაუმართავი ტრანსპორტია.

– ჩვენ ინდიკატორული გაზომვები მთლიანად ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით გავაკეთეთ და საქართველოში ასე არ კეთდება, არამედ ბრიტანეთის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში. იქ მხოლოდ საშუალო დამაბინძურებლები დაფიქსირდა.

მტვერთან მიმართებით, კი ბატონო. გვაქვს რამდენჯერმე მტვრის შემცველობის გადაჭარბება, მაგრამ ესეც არაა კრიტიკული ნიშნული. საქართველოში ჰაერი ნამდვილად არაა დაბინძურებული ყველაზე მეტად პლანეტაზე, მაგრამ შემიძლია დავადასტურო, დღეს თბილისში მთავარი დამაბინძურებელი არის ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი, – განაცხადა ბაგრატიამ.

**ნიუსპრესი**

## კონტაქტურ კარატეში ევროპის ჩემპიონი ივანე გიგილოშვილი გახდა



ბათუმში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კონტაქტურ კარატეში, ქართველმა სპორტსმენმა ივანე გიგილოშვილმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გიგილოშვილმა 80 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა.

ჩემპიონატში 12 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

**ნიუსპრესი**

## რუსთავში სკოლის მოსწავლეები მოიწამლნენ

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, რუსთავის 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მოწამვლის ფაქტის შესწავლა დაასრულა. სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა არაგეგმური ინსპექტირება ჩაატარეს რესტორან „ბერმუხაში“, სადაც აღნიშნული სკოლის გამოსაშვები საღამო გაიმართა. ინსპექტირებისას შპს „ბერმუხა ბი ემ ჯი“-ს რესტორანში არაკრიტიკული შეუსაბამობა გამოვლინდა.

უწყების ცნობით, მოკვლევისას დადგინდა, რომ რესტორანში საკონდიტრო ნაწარმი (კრემიანი ნამცხვრები) შეტანილი იყო შპს „ასორტი ვერე“-ს საკონდიტრო წარმოებიდან. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა საკონდიტროში ჩაატარეს არაგეგმური ინსპექტირება, აიღეს საკონდიტრო ნაწარმის ნიმუში, რომელიც კვლევისთვის ლაბორატორიას გადაუგზავნეს. კვლევის შედეგად გამოვლინდა მიკრობიოლოგიური პარამეტრების დარღვევა, კერძოდ: დასაშვებ ნორმაზე მეტი ოქროსფერი სტაფილოკოკი, მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები, საფუარი და ობის სოკოები.

გამოვლენილი დარღვევების გამო შპს „ასორტი ვერეს“ საკონდიტროს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდა.

**ნიუსპრესი**




## გერმანიის ელჩი: „ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ძალაშია“



– ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ძალაშია და ეს მხოლოდ სწორ მომენტზეა დამოკიდებული, – განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ბეტინა კადენბახმა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის გახსნაზე.

– რამდენიმე დღეში ნატოს მორიგი სამიტი გაიხსნება. ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს ალიანსის ლიდერებმა განაცხადეს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ეს განმეორებულ იქნა ლისაბონში, ჩიკაგოსა და უელსში. ეს გადაწყვეტილება ძალაშია და მისი განხორციელება დამოკიდებულია, უბრალოდ, სწორი მომენტის შერჩევაზე, – განაცხადა ელჩმა.

**ინტერპრესნიუსი**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# მკურნალი მცენარე



## ევროპული პანტა

მსხლის გვარის ველური სახეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, იზრდება მეზოფილურ ტყეში, მთის შუა, იშვიათად ზემო სარტყლამდე. აქვს მომრგვალო ან კვერცხისებრი ფოთოლი, რომლის სიგრძე ოდნავ აღემატება სიგანეს. კავკასიაში 4 სახეობაა გავრცელებული, საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: კავკასიური პანტა კავკასიის ფლორის ენდემია, მაგრამ ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული; სწრაფმზარდი ეკლიანი ხეა, მრგვალი ან შებრტყელებულსფეროსებრი ნაყოფი აქვს; იჭმება, ხდიან არაყს, ამზადებენ ძმარს. მერქანი მაღალი ღირსებისაა, იყენებენ მსხლის კულტურის ჯიშების საძირედ. ბალანსას პანტა უეკლოა, დამახასიათებელია კოლხეთისათვის.

ევროპული პანტა 30 მეტრამდე სიმაღლის ხე, იშვიათად ბუჩქი. დაფარულია ხშირი ხავსით. აქვს მაგარი მერქანი, დიდი ყვავილები, ნაყოფი წვრილი მსხალი, სხვადასხვა ფორმისა. ნაყოფი შეიცავს შაქრებს, ორგანულ მჟავებს, პექტინურ და მთრიმლავ ნივთიერებებს, უჯრედისს, ცილებს, ფიტონციდებს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს, ცხიმოვან ზეთს...



სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ნაყოფი, მშრალი ან ნედლი. ახასიათებს შარდმდენი, სიცხისდამწევი, გამაყუჩებელი, ანტისეპტიკური ქმედებები.

ხალხურ მედიცინაში მშრალ მსხალს ან ნახარშს იყენებენ ხველის შესანელებლად ტუბერკულოზის დროს; სასუნთქი გზების სამკურნალოდ; კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. მსხალი აშუშებს ჭრილობებს, თრიმლავს კუჭის კედლებს, ამშვიდებს ნაღველს, კურნავს სოკოსაგან მოწამვლას.

## ენდრო

ენდრო მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ენდროსებრთა ოჯახიდან. სუსტი, წვრილი, ბღაუჭა, მცოცავი ღეროებით, რომელთა სიგრძე რამდენიმე მეტრს აღწევს. მთავარი ფესვი საკმაოდ ძლიერი აქვს, სიღრმეში დატოტვილი, ფესვის ზედა ნაწილიდან იზრდება მხოხავი, მერქნისებრი მრავალთავა ფესურა, რომელზეც კვირტებია განლაგებული.

ფოთლები ვიწროკვერცხისებრია, წაწვეტებული, ზომით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ ფოთოლზე თითო ძარღვია, რომელზეც, ისევე როგორც ფოთლის ფირფიტის კიდეებზე, ხრტილისებრი ბღაუჭა კბილებია. ღეროები და ფოთლები შებუსულია, განსაკუთრებით ქვედა მხრიდან.

ყვავილედი – გაშლილი, რთული საგველაა, გრძელი ღეროებით. ყვავილები წვრილია, ყვითელი გვირგვინით, მწიფე ნაყოფი შავია, წვნიანი, კენკროვანი. მისი წვენი მუქ-ღვინისფერ ლაქებს ტოვებს.

ენდრო ყვავილობს ივნისიდან – სექტემბრამდე, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში.

ენდრო გავრცელებულია როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთის ფერდობებზე. თითქმის ყველა სახის ნიადაგზე იზრდება. ხშირად გვხვდება ღობის ძირებში, ვენახებში, ბაღებში.

ნედლეულად ამზადებენ ენდროს ფესურასა და ფესვებს გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში, ან ვეგეტაციის ბოლოს, სექტემბრიდან – ყინვების დაწყებამდე. ენდროს ფესვები შეიცავს საღებავ ნივთიერებებს (ოქსიმეთილსა და ოქსიანტრაქინონებს). მათ შორის, რუბერიტრინის მჟავას, რუბიადინს და სხვა. გარდა ამისა, ნედლეული შეიცავს ორგანულ მჟავებს, პექტინებს, შაქარსა და სხვა.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ენდროს ფესვებს იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად. მათი გამოყენებით იღებდნენ წითელი ფერის სხვადასხვა ტონებს.

ენდროსშემცველი პრეპარატები შლიან ფოსფატურ და ოქსალატურ ქვებს თირკმელებსა და შარდის ბუშტში. აქვთ შარდმდენი და სპაზმოლიტური მოქმედება. აძლიერებენ შარდსადენების მუსკულატურის პერისტალტიკას, რითაც ხელს უწყობენ ქვების გამოდევნას.

ენდროს ფესვებისა და ფესურის ნაყენი შედის პრეპარატ ცისტენალის შემადგენლობაში, რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფებს კენჭოვანი დაავადების დროს. ასეთი ნაყენების გამოყენება არ შეიძლება კუჭის წყლულოვანი დაავადებისა და თირკმელების უკმარისობის დროს.

## ზეთისხილი

ზეთისხილი, ზეთის ხე ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ცნობილია 60-მდე სახეობა. სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ზეთისხილს. მარადმწვანე, სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა, 4-12 მ სიმაღლისა. ფოთლები წვრილი, ლანცეტისებური აქვს, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან – მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი. ნაყოფი კურკიანია, მოგრძო-ოვალური ან მომრგვალო ფორმისა, იწონის 15 გ. თესლიდან გამოზრდილი მცენარე მსხმოიარობას იწყებს 10-12, ხოლო კალმიდან გამოზრდილი – 4-5 წლის შემდეგ. ცოცხლობს 300-400 წელსზე მეტს. ერთი ხიდან 20-40 კგ მოსავალი მოდის. ნაყოფს იყენებენ დასამზადებლად, დასაკონსერვებლად, ზეთის გამოსახდელად (ნაყოფის ნედლი რბილობი შეიცავს 25-იდან 80%-მდე ზეთს, ე. წ. ზეითუნის ზეთს), მედიცინაში, კოპტონს – ცხოველთა საკვებად, მერქანს – სადურგლო და სახარატო საქმეში. საქართველოში ზეთისხილი გავრცელებულია აფხაზეთში, აგრეთვე კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში.

სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი და ფოთოლი; ფოთოლს აგროვებენ ყვავილობის დროს, ნაყოფს – სიმწიფეში. ნაყოფი შეიცავს ცხიმიან ზეთს, რომელშიც არის მჟავეები, ვიტამინები, სტერინები, კაროტინოიდები, პექტინური ნივთიერებები, ნახშირწყლები, კატეხინები, ტრიტერპენული საპონინები. ფოთოლო შეიცავს ალკალოიდებს, გლიკოზიდებს, ოლეანის მჟავას, ფიტოსტერინებს, ფლავონოიდებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავეებს, ეთერზეთებს. პროვანსული ზეთი ავლენს ტკივილგამაყუჩებელ, ნაღველმდენ, სასაქმებელ, სპაზმოლიტურ, დამამშვიდებელ და შარდმდენ თვისებებს; გამოიყენება მალამოებისა და ემულსიების დასამზადებლად. ფოთოლი ავლენს ჰიპოტენურ ეფექტს.



## თალგამი

ორწლოვანი ბოსტნეული მცენარეა. პირველ წელს ივითარებს როზეტსა და ძირხვენას, მეორე წელს – საყვავილე ყლორტებს და იძლევა თესლს. ფარისებრია, ყვითელხორციანი. ჯიშების გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-ოქროსფერია, თეთრხორციანისა – მოყვითალო-ლიმონისფერი. ნაყოფი თვითხსნადი გრძელი ჭოტია. თესლი წვრილი და მრგვალია, ფერად ღია ან მუქი. თალგამი ყინვაგამძლეა (უძლებს 4-5°C ყინვას), ტენის მოყვარულია, ამასთან საკმაოდ სიცხეგამძლეცაა. მოჰყავთ ყველანაირ ნიადაგზე. ძირხვენა შეიცავს მშრალ ნივთიერებას (მათგან ნახევარი შაქრებია). C, B1, B2 ვიტამინებს, კაროტინს, მდოგვის ზეთს, რომელიც აძლევს თალგამს სუნსა და გემოს. თალგამი იჭმევა ნედლი, მოხარშული და შემწვარი. არსებობს თალგამის სუფრისა და პირუტყვის საკვები ჯიშები. მცენარეს აქვს შარდმდენი, ანისეპტიკური და ანტიანთებითი თვისებები, სვამენ გულისცემის მოსაწესრიგებლად.

მისი ნახარში მიიღება მწვავე ლარინგიტის, ხმის ჩახლეჩის, ასთმის შემთხვევაში. მოხარშულ და დასრესილ თალგამს იდებენ მტკივნეულ ადგილებზე. იყენებენ აბაზანებში ბუასილის დროს. მისი წვენი გახლავთ ორგანიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ეფექტიანი გამწმენდი საშუალება. იგი ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საკვების მონელების ხარისხს, აძლიერებს ნაწლავის მოტორიკას და ხელს უწყობს დაგროვილი წიდის ორგანიზმიდან გამოყოფას, ქვებისა და ქვიშისგან თირკმელების გაწმენდას.

შავი თალგამის წვენი შველის ხველებას. კბილის ტკივილისას იყენებენ გამოსავლებად.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი
### 29 ივნისისთვის



**ვერძი** – მძიმე დღეა. თუ ინიციატივასა და ორგანიზებულობას არ გამოავლენთ, იმედი გაგიცრუვდებათ. საღამოს ჯანმრთელობის გაუარესებაა მოსალოდნელი. **კურო** – წარმატებული დღეა. მიზნის მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. ქალები საკუთარ ტალანტს საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩენთ. **ტყუპები** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ. ნებისმიერი საქმე თამამად დაიწყეთ. **სასწორი** – დღეს ცხოვრებისეული სიტუაცია რეალურად შეგიძლიათ უკეთესობისკენ შეცვალოთ. გამართლებულია მსხვილი შენაძენი. ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობისთვის უკიდურესად სახიფათო დღეა. დღის მეორე ნახევრისთვის დაგეგმილი ყოველგვარი შეხვედრა და ვიზიტი სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** – კოსმოსიდან მძლავრ ენერგიას იღებთ. კეთილისმყოფელი დღეა სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობებისათვის. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ქართული მითოლოგიის გმირი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. ფულის ერთეული ისრაელში; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 12. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 16. მეცნიერება რეაქტიული საარტილერიო ჭურვების მოძრაობის შესახებ; 17. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 19. დიდი საკარმიდამო ჩილესა და არგენტინაში; 21. მეტალურგიაში გამოყენებული ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. ნორვეგიელი ქართველოლოგი.

**თარაზულად**: 6. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. მდინარე ყვარელში; 9. ფრანგი მწერლის ანრი ბეილის ფსევდონიმი; 14. უბანი თბილისში; 15. საფეხბურთო, სარაგბო სტადიონი კარდიფში; 18. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 20. მიწაში ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 22. თირკმლის ანთება; 24. აეროპორტი ქაიროში; 25. ლიტვის დედაქალაქი; 26. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრუსია; 2. სამება; 3. „მონცა“; 5. რუხი; 6. სატივე; 8. „სტამპა“; 11. მორჩილაძე; 13. პრატერი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. ლალი.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. სუარესი; 7. უნიკუმი; 9. ცენტონი; 10. ამება; 12. კემერონი; 16. სამორინე; 17. გალიერა; 18. ღრიანკალი; 20. ძილქუში; 21; ეირე; 22. კასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ბაგიათი“; 2. წყალტუბო; 3. ესპარცეტი; 4. „დიუპონი“; 5. მენდელსონი; 10. ბასტრი; 11. კატმანდუ; 12. მაზურკა; 13. კომედია; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. იუანი; 23. შორტი.

**თარაზულად:** 6. სარწყუნისი; 7. ნიორაძე; 8. ჯალიტა; 9. ტრაქტორი; 14. სომბრერო; 15. ყიზილბაში; 18. ბედია; 20. ჭანჭური; 22. იაშვილი; 24. ტუნიკა; 25. გენლაინი; 26. ბატონი.

# იტალიის საოპერო ფესტივალში 3 ქართველი მონაწილეობს




იტალიაში ღია ცის ქვეშ არენა დი ვერონაზე მსოფლიოში ცნობილი საოპერო ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.

წელს ფესტივალის პირველ წარმოდგენად ორგანიზატორებმა ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმული ჟორჟ ბიზეს ბრწყინვალე ოპერა „კარმენი“ შეარჩიეს.

ფრანკო ძეფირელის დადგმაში 3 წარმატებული ქართველი საოპერო მომღერალი მონაწილეობს – მადინა კარბელი, თეონა დვალი და მიხეილ შეშაბერიძე.

სამივე მათგანი კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი და მათი საერთაშორისო წარმატებების შესახებ მსოფლიო პრესა დღემდე აქტიურად წერს.

# ანზორ ერქომაიშვილმა არქივი ხელოვნების სასახლეს გადასცა



ქართველმა მომღერალმა და ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა ხელოვნების სასახლეს არქივი და იუნესკოს მიერ გაცემული უნიკალური დოკუმენტები გადასცა.

2001 წელს ქართული პოლიფონია იუნესკოს მიერ აღიარებულ იქნა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი. ამ ისტორიული მოვლენის დამადასტურებელი სიგელი ანზორ ერქომაიშვილის არქივში ინახებოდა.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გადაწყვეტილებით, ეს უნიკალური დოკუმენტი ხელოვნების სასახლეს გადაეცა. იუნესკოს სიგელთან ერთად მუზეუმის კუთვნილება გახდა ცნობილი ქართველი მომღერლისა და ლოტბარის არტემ ერქომაიშვილის უნიკალური არქივი.

# „დაუკარი მშვიდობისთვის“ — ქუჩის მუსიკის ფესტივალი თბილისში



თბილისში ქუჩის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „დაუკარი მშვიდობისთვის“ გაიმართა. პროექტის მიზანი საქართველოში ქუჩის მუსიკის კულტურის დანერგვაა.

ორდღიანი ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ევროპის 18 ქვეყნის 100-მდე უცხოელი მუსიკოსი ეწვია, რომლებმაც სხვადასხვა ჟანრის მუსიკა რუსთაველის გამზირზე 5 ადგილზე დაუკრეს.

საქართველოში ჩამოვიდნენ იტალიელი მოხალისეები, რომლებიც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად საორგანიზაციო საკითხებში ჩაერთვნენ. მათ ქართველ მონაწილეებთან ერთად იმუშავეს, რათა მსმენელს ახალი, საინტერესო და სასიამოვნო კომპოზიციები მოესმინა.

როკი, ჯაზი, ფოლკლორი, რეპი და ტექნო, მსმენელს სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოსმენის შესაძლებლობა სრულიად უსასყიდლოდ მიეცა.

საქართველოში ქუჩის მუსიკის ფესტივალი უკვე 5 წელია იმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები მარიკა, ეკა, თეონა, სიძეები აჩიკო ალადაშვილი, კახა სვიმონიშვილი, შვილიშვილები თორნიკე, ელენე, ნიკო ალადაშვილები, ნელიკო, ეთათო სვიმონიშვილები, ძმა გენადი კვირიკაშვილი, დისშვილი ნინო ქორიძე, სიძე გრიშა თოფურია, დისშვილის შვილები ლიზა, დათა, საბა თოფურიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ომარ ნიკოს ძე კვირიკაშვილი**

პანაშვიდი: 29 ივნისს.
დაკრძალვა: 30 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ნავთლუღის ქ.№6, I კორპუსი, ბინა 22.

შალვა ნათელაშვილი და საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოხატავს გლდანის რაიონის პარტიული ორგანიზაციის კოორდინატორ ზაზა სიდამონიძის დედის

**ციური სიდამონიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ირმა ბერძენიშვილი: „პირველად ვიმღერე ფონოგრამით და საოცრად ვნანობ“



საოპერო მომღერლის ირმა ბერძენიშვილის მიერ სპორტის სასახლეში შესრულებული საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი საზოგადოების უმრავლესობამ გააკრიტიკა და მომღერალს ამ სიმღერისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომა სთხოვა.

ირმა ბერძენიშვილი მის გამოსვლასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა:

– საერთოდ არ მესმოდა არაფერი გარკვეულად, დარბაზის სპეციფიკიდან გამომდინარე. შეუძლებელი გახდა ელემენტარული კონტროლი შესრულებაზე. ვერ გავითვალისწინე, რა პრობლემა შეიძლება ყოფილიყო ამ შემთხვევაში, რადგანაც პირველად ვიმღერე ფონოგრამით, რასაც საოცრად განვიცდი და ვნანობ.

# ვინ თაღლითობს სტანისლავ ბონდარენკოს სახელით?



მსახიობმა სტანისლავ ბონდარენკომ 16 წლის მიხეილ სხვიტარიძის ჯანმრთელობის გადასარჩენად საქველმოქმედო სპექტაკლებში მიიღო მონაწილეობა.

ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ მიხეილისთვის ამ საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორებს თანხა არ გადაუციათ.

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

– ბავშვის დედას შევთავაზეთ საჯაროდ ამ ამბის გაცხადება და გვითხრა, მერე საერთოდ აღარ მომცემენ თანხასო. იმიტომ, რომ ეს ამბავი ასე გრძელდება მოტყუებულად, გადავწყვიტე, მე მეთქვა საჯაროდ.

წარმოადგინონ ორგანიზატორებმა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ ბავშვს გადაურიცხეს ის თანხა, რომელიც მას ეკუთვნოდა.

ჩვენ პროექტის თანამონაწილეები ვიყავით, ფინანსურადაც ყველაფრის საქმის კურსში ვართ, რამდენი უნდა ჩარიცხულიყო ბავშვთან. იმედი გვაქვს, ამბის გასაჯაროების შემდეგ ორგანიზატორები ფულს ჩაურიცხავენ ბავშვს. თუ არა, იმედი გვაქვს, შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებიან, ვინ და რატომ ითაღლითა.

ნანუკა ჟორჟოლიანის ბრალდებაზე განმარტება გააკეთეს ბონდარენკოს საქართველოში მოწვევის ინიციატორებმა.

ელენე თარგამაძის ინფორმაციით, მათ მიხეილ სხვიტარიძის ოჯახს დახმარება გაუწიეს.

მიხეილ სხვიტარიძის დედა კი აცხადებს, რომ მისთვის თანხა მათ არ ჩაურიცხავთ.



# ქართულმა ფილმმა ვალენსიაში გრანპრი მოიგო



ნინო ბასილიას ფილმმა „ანას ცხოვრებამ“ ვალენსიაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი, გრანპრი მოიგო.

ნინო ბასილია თავდაპირველად თეატრებში დგამდა სპექტაკლებს, მოგვიანებით რეჟისორმა კინოში გადაინაცვლა. „ანას ცხოვრება“ მან საკუთარი სცენარის მიხედვით გადაიღო.

ფილმი მარტოხელა დედის უმძიმეს ცხოვრებას მოგვითხრობს და მასში მთავარ როლს მსახიობი ეკა დემეტრაძე ასრულებს.

# ეთერ კაკულიას მახათას მთაზე გადაასვენებენ



მომღერალ ეთერ კაკულიას მახათას მთაზე გადაასვენებენ. ეს ინიციატივა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ეკუთვნის.

ეთერ კაკულიას გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და რიგითი თაყვანისმცემლები მომღერლის საფლავზე შეიკრიბნენ და ყველაზე მხიარული და ენერგიული მომღერალი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

როგორც ეთერ კაკულიას რძალი აცხადებს, მომღერლის ოთახში ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მის სიცოცხლეში და არაფრის შეცვლას არ აპირებენ.

ისრაელში ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად, სიმსივნის დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეთერ კაკულიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა, დარბაზის წინ მის მისი სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა.

ეთერ კაკულია გასულ წელს 72 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. ის ვაკის სასაფლაოზე მშობლების გვერდით დაკრძალეს. ავლაბარში ერთ-ერთ ქუჩას მომღერლის სახელი ეწოდა.

მახათას მთაზე ტაძრის გახსნისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის შემდეგ პანთეონი გაიხსნება, სადაც, პატრიარქის ინიციატივით, ეთერ კაკულიას ნეშტს გადაასვენებენ.

# ბაგრატის ტაძრის შესასვლელი ჭიშკარი ჩაიკეტა



ქუთაისში მდებარე ბაგრატის ტაძრის შესასვლელი ჭიშკარი ჩაიკეტა. ამის მიზეზი ტერიტორიაზე გახშირებული ინტიმური ურთიერთობებია.

– ზაფხულის სეზონზე საღამოობით ტაძრის ეზოში უფრო ბევრი ადამიანი მოდის, ხშირად არასასიამოვნო ფაქტები ხდება. ყველა აქ მოსულსაც ყურადღებას ფიზიკურად ვერ მივაქცევთ, ამიტომ ზაფხულში, ღამის 10 საათიდან, ტაძრის შემოსასვლელს ვკეტავთ, – განაცხადა ტაძრის წინამძღვარმა.

1003 წელს ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდში აგებული ტაძარი ქუთაისის ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა. ეკლესიას დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი სტუმრობს. მას შორის მრავლად არიან ტურისტები.

მათი რიცხვი ბაგრატის ტაძარში მას შემდეგ გახშირდა, რაც ნანგრევებად ქცეულ ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 29 ივნისი**

**07.30** დ/ფ "ფოტო" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – 2016" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** მხ/ფ "**ცისფერთვალება მიკი**" (ჰ.გრანტი) **23.10** მხ/ფ "**21 გრამი**" (შ.პენი) **01.20** მხ/ფ "**ჯუდი**" (კ.უინსლეტი) **03.20** "ხანმოკლე XX საუკუნე" **03.50** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 12.00, 14.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "სუფრაჟისტები" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ჩინური კვარტალი**" **02.50** მხ/ფ "**ბორტზე ბავშვია**" **04.05** მხ/ფ "**მონობა**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 2.40** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.00** მხ/ფ

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "ხელოვნების ქურუმი" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ღვთის სახლი **15.45** დ/ფ "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" **16.15** კონცერტი **17.10** დ/ფ "ქართული გალობა რომში" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II სერ. **20.30** ამბიონი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო... **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 ივნისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3436 |
| ევრო | 2.585 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1046 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6087 |

**ამინდის პროგნოზი 29 ივნისისთვის**





## 28 ივნისიდან

თეოდორე დოსტოევსკი
**დანაშაული და სასჯელი**



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## მარადონა: „დარჩი, ლეო!“



ლიონელ მესის არგენტინის ნაკრებიდან წასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამის შესახებ კომენტარი ბევრმა ცნობილმა ფეხბურთელმა გააკეთა და მათ შორის არის დიეგო მარადონაც, რომელმაც მესის ურჩია, რომ ნაკრებში დაბრუნდეს:

– მესიმ აუცილებლად უნდა ითამაშოს 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე. მას შეუძლია, ნაკრებთან ერთად წარმატებას მიაღწიოს. იმედი მაქვს, ლეო თავის გადაწყვეტილებას შეცვლის და ნაკრებს დაუბრუნდება.

მესის ამას თითქმის მთელი ქვეყანა ეხვეწება, მათ შორის პრეზიდენტი მაურისიო მაკრიც, რომელიც ლეოს პირადად დაუკავშირდა და სთხოვა, რომ ნაკრები არ დაეტოვებინა.

ვნახოთ, იმოქმედებს თუ არა ეს ყველაფერი მესის გადაწყვეტილებაზე.

## ჰალკი ზენიტიდან მიდის

ზენიტის ბრაზილიელი ფორვარდი ჰალკი სათამაშოდ ჩინეთში გადადის. ჩინური კლუბი შანხაი ტელეი ბრაზილიელ ფეხბურთელში 55 მილიონ ევროს იხდის და ზენიტი ამ შეთავაზებაზე ყაბულს არის.

ჰალკი ზენიტის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, მაგრამ, როგორც ჩანს, ის რუსეთს მალე დატოვებს.

ჩინურ გუნდებში უდიდესი ინვესტიცია ჩაიდო და ფეხბურთელების უმრავლესობა იქ სწორედ ფულის გამო მიდის. სავარაუდოდ, ასეა ჰალკის შემთხვევაშიც, რომელსაც წლიური ანაზღაურება 12 მილიონი ევრო ექნება.

შანხაი ტელეი ზენიტს ოფიციალური წინადადებით რამდენიმე დღეში მიმართავს.

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სტანისლავ ბონდარენკომ მოიგო

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონი მსახიობმა სტანისლავ ბონდარენკომ მოიგო.

ფინალში ორი მსახიობი, სტანისლავ ბონდარენკო და ანდრია გველესიანი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სულ პროექტის ფინალში 134.000 ხმა შევიდა, მათგან 95.257 ხმა სტანისლავმა დააგროვა და პარტნიორ ნიკე კეშელავასთან ერთად მეგაშოუ მოიგო.

ანდრია გველესიანმა კი 47.989 ხმა მიიღო და მეწყვილესთან, სალომე ჭაჭუასთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა.

სტანისლავ ბონდარენკოს გადაეცა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მთავარი პრიზი – ბინა თბილისში, კრწანისში.

პროექტის მოგების შემდეგ სტანისლავ ბონდარენკო მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

– თასი ჩვენია! მადლობა ნიკესა და ანტონ ჩერუშევს, რომელიც ჩვენს ცეკვებს სრულყოფდა! მადლობა თქვენ, მეგობრებო! მადლობა ყველას! საქართველო, ამას არასდროს დაგივიწყებ!




*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი



დედა შვილს ეუბნება:

– მამაშენმა შენი ნიშნების ამბავი თუ იცის? რომ გაიგოს, შავ დღეს დაგაყრის!

– მამამ ძია გოგის ამბავი თუ იცის? რომ გაიგოს, ჩემზე უარეს დღეს დაგაყრის!

– კარგი, შვილო, უბრალო რაღაცებით ნუ ავუშლით ნერვებს იმ საწყალ კაცს!

●●●

ქალაქიდან მიყრუებულ სოფელში დაბრუნებულ კაცს თანასოფლელები ეკითხებიან:

– აბა, რა ხდება ქვეყანაზე?

– მოკლედ, ორი ამბავი მაქვს თქვენთვის, ერთი ცუდი, მეორე კარგი და რომლით დავიწყო?

– ცუდით დაიწყე.

– ცუდი ისაა, რომ მომავალ წელს ისეთი ცხოვრება დადგება, რომ მძ...ს ჭამაც სანატრელი გვექნება.

– და კარგი ამბავი რაღაა?

– რა და ერთ ადგილას იმდენი ვიპოვე, ყველას გეყოფათ.

●●●

ორი კაცი მესამეზე მსჯელობს. ერთი ამტკიცებს, კაი კაციაო, მეორე კი იძახის, ღმერთს არ უქნიაო.

– არა, რას ამბობ, კაი კაცია, ისეთი სამეგობრო და საძმაკაცო ჰყავს, რომ როგორ შეიძლება, კაი კაცი არ იყოს...

– ბიჭო, რა გითხრა, იცი? სამეგობრო და საძმაკაცო იუდას რომ ჰყავდა, ისეთი უნდა, მარა, თვითონ რაც იყო, კი იცი შენ...

●●●

კაცი დგას პიკასოს ნახატებთან და განცვიფრებული ამბობს:

– საღოლ, რა, კიკასო, ყოჩაღ, კიკასო.

გვერდით მდგომი მის ნათქვამს გაიგონებს და ეუბნება:

– მაგას კიკასო კი არა, პიკასო ჰქვია.

კაცი კი ისევ აგრძელებს:

– ყოჩაღ, კიკასო, საღოლ, კიკასო...

ის ისევ უსწორებს:

– არ ჰქვია მაგას კიკასო, პიკასოა, პიკასო!

– წადი, შე კროჭო!..

●●●

შერლოკ ჰოლმსი ვატსონს ეუბნება:

– დოქტორო ვატსონ, გუშინ ბლომად ვიაგრა დაგილევიათ.

– საიდან მიხვდით?

– მისის ჰადსონი ასეთი ბედნიერი არასდროს მინახავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 29 ივნისიდან

**მსოფლიო ისტორიის ატლასი**

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## 30 ივნისიდან

**კაცი, რომელიც იცინის**

ვიქტორ ჰიუგო

მეორე ნაწილი




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## სევილიას ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს



მას შემდეგ, რაც სევილია უნაი ემერიმ დატოვა, ანდალუსიური გუნდი მწვრთნელის გარეშე დიდხანს არ დარჩენილა. სევილიას სათავეში არგენტინელი სპეციალისტი ხორხე სანპაული ჩაუდგა, რომელიც 4 წლის განმავლობაში ჩილეს ნაკრების თავკაცი იყო.

ჩილესთან ერთად სანპაულიმ 2015 წელს კოპა ამერიკის მოგებაც შეძლო, თუმცა მალე მან თანამდებობა დატოვა.

არგენტინელი სპეციალისტი სევილიასთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და მას ოფიციალურად რამდენიმე დღეში წარადგენენ.

უნაი ემერი კარიერას ფრანგულ პარი სენ ჟერმენში გააგრძელებს.

## ჯო ჰარტმა შეცდომის გამო ბოდიში მოიხადა



ინგლისის ისლანდიასთან სენსაციური მარცხის შემდეგ ფეხბურთელებმა კომენტარები გააკეთეს.

ინგლისელთა მეკარემ ჯო ჰარტმა, რომელმაც ისლანდიელების მეორე გოლის დროს შეცდომა დაუშვა, ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ მას ძალიან კარგად ესმის გულშემატკივრების.

– მეორე გოლის დროს ჩემი გუნდი უნდა გადამერჩინა. ეს უპატიებელი შეცდომაა, რის გამოც ყველას ბოდიშს ვუხდი. სამწუხაროა, რაც მოხდა, მაგრამ ახლა მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ, – თქვა ჯო ჰარტმა.

მან ამ ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე შეცდომა დაუშვა და, არ არის გამორიცხული, მალე ინგლისის ნაკრების კარის დარაჯად სხვა გოლკიპერი ვიხილოთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. კარატისტთა ცალკეულ ილეთთა კომპლექსის სახელწოდება; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. მე-18 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 14. ხორცის ნახარში; 15. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის ჭურჭელი.

**თარაზულად**: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 7. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეთოთხმეტე საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. დიდი ბუ; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. ინგლისელი ფიზიკოსი; 21. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 22. შვედი ასტროფიზიკოსი, ტემპერატურის შკალის გამომგონებელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

